# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 8 თებერვალი, 2012 წელი.

№25 (6902)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## სააკაშვილის არჩევანი

... მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ქართველმა პრეზიდენტმა ობამას ეს ნათქვამიც გაიგონა: „ჩვენ ველით სამართლიან და თავისუფალ არჩევნებს“ და იმას, რომ „საქართველოში განხორციელდება ძალაუფლების ოფიციალური გადაცემა“.

თუ ვაშინგტონი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაასკვნის, რომ ეს მოთხოვნები არ შესრულდა, საქართველოს დიდი პრობლემები ელის იმისდა მიუხედავად, გაიმარჯვებს ობამა არჩევნებში, თუ არა.

3

## ავადმყოფების ქვეყანა და საავადმყოფოების მშენებელი პრეზიდენტი

## გაყიდული ნუგზარ წიკლაურის ბოდვა „პოლიტიკური სიგიჟის ზღვარზე“...

2



## რატომ ითხოვენ პარლამენტის ვიცე-სპიკერის გასამართლებას?



## ვის სჭირდება ბათუმში აჭარის დამპყრობლის სახელობის მეჩეთი?!

4




## ხალხი მზადაა, არჩევნების გზით იბრძოლოს, მაგრამ გაყალბების შემთხვევაში, შესაძლოა, სხვა განწყობაზე დადგეს

5

## „თრიალეთის ოსეთიდა“ გვაკლდა!

6 7

## სარკმელი ლეგენდების ქვეყანაში

9



## რუსეთი საქართველოს ზიდვას ვეღარ შეძლებს...

8

ქალად მაცხონე პოლიტიკოსი

# გაყიდული ნუგზარ წიკლაურის ბოდვა „პოლიტიკური სიგიჟის ზღვარზე“...

**ერთ დროს ქართველ ლიტერატორთა და ჟურნალისტთა კოლეგა ნუგზარ წიკლაური ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორობიდან პირდაპირ შეძვრა ნაციონალურ მოძრაობაში და სული ეშმაკს მიჰყიდა.**

ღარიბი გამომცემლობიდან – მოძალადეთა მდიდარ პარტიაში...

მოძალადეთა პარტიიდან, პარტიული სიით, საქართველოს პარლამენტში წამოიჯგიმა, კომიტეტის თავმჯდომარეობა გაიჩალიჩა და ყოველივე ეროვნულის, ყოველივე ქართულის ჩამწიხვლელი უმრავლესობის, როგორც ხალხი ზიზღით მოიხსენიებს – **ნაცების** ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

იცის, კარგად იცის ნუგზარ წიკლაურმა, რომ მისი საპარლამენტო „მოღვაწეობა“, შიგადაშიგ გამომწვევი გამონათქვამები, სულელური, პრიმიტიული შეფასებები სულაც არ ემსახურება ნაცების და მმართველი „ელიტის“ წარმოჩენას, მაგრამ სხვა გზა არა აქვს, – რადგან შეტოპა, რადგან სირცხვილი და თავის მოჭრა ჩალის ფასადაც არ ულირს, ერთადერთი გზა დარჩენია: **ბოლომდე უკმიოს გუნდრუკი მიხეილ სააკაშვილს, ქვეყნის დამაქცევარ ნაციონალურ მოძრაობას და ხელისუფლების ცრუ, ყალბი რეფორმები XXI საუკუნის საოცრებად მოგვაჩვენოს.**

ვერავინ დამაჯერებს, რომ კარგ, ტრადიციულ ოჯახში გაზრდილ ფილოლოგსა და ჰუმანისტს (უკვე ყოფილ ჰუმანისტსძ, კარგი მწერლის შვილს ნუგზარ წიკლაურს არ ესმოდეს „უბრალო“ ქართველი კაცის, დიდი ქველმოქმედისა და 2007 წლამდე ეროვნული პროექტების დასაფინანსებლად სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მენეჯერის, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში მოსვლის უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა.

მაგრამ... გაყიდული ნუგზარ წიკლაური უკულმა აფასებს ბიძინა ივანიშვილის თითქმის ყოველ ნაბიჯს, ყოველ გამოსვლას და ამით დათვურ სამსახურს უწევს როგორც საკუთარ თავს, ისე მთელ **სააკაშვილეთს – ნაციონალურ მოძრაობას.**

საპარლამენტო წვრილფეხობა, პრეზიდენტის მხარდამჭერი ექსპერტ-პოლიტოლოგები ზოგჯერ ცალყბად, ვითომც სააკაშვილის საამებლად აკრიტიკებენ ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ სახის გამომეტყველებაზე ემჩნევათ, რომ გულისგულში ამ სიკეთით, უბრალოებით გამორჩეული,



ქვეყნის ხვალინდელი დღის გადამრჩენელი კაცის, „ქართული ოცნების“ შემქმნელი, **და როგორც ერთმნიშვნელოვნად გვპირდება, – მისი ბოლომდე აღმსრულებელ-განმახორციელებელი ბიძინა ივანიშვილის ფარული მხარდამჭერები არიან.**

აი, ნუგზარ წიკლაურის მსგავსნი კი უკადრებელს კადრულობენ და თავიანთი მოკლე ჭკუით ბოლომდე სწირავენ რეალურ კონკურენტს: **„ეს სიგიჟის ზღვარზე გაკეთებული განცხადებებია!“** – ასე შეაფასა ნუგზარ წიკლაურმა ბიძინა ივანიშვილის მართლაც დამაჯერებელი, პირდაპირი, უშუალო და კონკრეტული ფაქტებით გაჯერებული ინტერვიუ, რომელიც 6 თებერვლის გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა. თანაც, ნუგზარ წიკლაური, ვითომც დიდი ფსიქოლოგი იყოს, უსირცხვილოდ ამბობს: **„ბიძინა ივანიშვილს მენტალურ პრობლემებსა და ჰალუცინაციებს ვამჩნევ!..“**

ეტყობა, ეს ჩვენი დიდი ნაციონალი, როცა ამას ამბობდა, საკუთარ პრეზიდენტზე ფიქრობდა, რადგანაც, საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი ძვირფასი და რეფორმატორი პრეზიდენტის დინჯი, გაწონასწორებული, ქართული ცნობიერებით გაჯერებული საუბრები, გამოსვლები და რეპლიკები...

ნუგზარ წიკლაურს განსაკუთრებით ის არ მოსწონებია, ბიძინა ივანიშვილის ვარაუდით, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, შესაძლოა, დღესაც ხელისუფლებასთან თანამშრომლობდესო!

რა არის ამაში გასაკვირი, დიდო პარლამენტარო ნუგზარ! – ნუთუ არ გახსოვს, რომ აგვისტოს ომის დროს გამოცდილმა „გენერალმა და სარდალმა“ ირაკლი ოქრუაშვილმა „ჩუმად“ დაურეკა მიშას და თანამშრომლობა შესთავაზა? იქიდან მოყოლებული, თავდაცვის ყოფილი მინისტრი გაფუმფულებული ცხოვრობს პარიზში და სავარაუდოდ (როგორც ეს ბატონმა ბიძინამ იყნოსაძ, ნაცების ფულით და მოჩვენებითი „მუქარით“ ხმასაც არ იღებს თქვენი აუტანელი რეჟიმისგან ტყვიავის გასანთავისუფლებლად...

ნუგზარ წიკლაურო!, შენ როგორც ფილოლოგს და ყველაზე ძველი და ქართული უნივერსიტეტის კადრს, უნდა გაგხარებოდა ბიძინა ივანიშვილის შეფასება ქართული პოლიციის რეფორმის „გამოსვლის“ თაობაზე. რა, ის გეწყინა, ბიძინამ ნახევრად ხუმრობით რომ განაცხადა – პოლიციის წარმატებული რეფორმა ხელისუფლებას, ალბათ, შემთხვევით გამოუვიდაო!.. რა არის ამაში მიულებელი? თქვენ, ნაცები სრულიად შემთხვევით (პრეზიდენტ შევარდნაძის საგანგებო წათვლემითძ არ მოხვედით ხელისუფლებაში? ვანო მერაბიშვილი „შემთხვევით“, ბიძინა ივანიშვილის და საზღვარგარეთელი „მეგობრების“ ფინანსური დახმარებით არ გახდა წარმატებული მინისტრი? რამდენსამე წელიწადში შემთხვევით არ გახდა საქართველო აბსოლუტურად პოლიციური სახელმწიფო და საკუთარი მრისხანება 2007 წლის 7 ნოემბერს, 2011 წლის 26 მაისს, ქართველ ხალხს არ დაატეხა თავზე? სრულიად შემთხვევით (მათ შორის ბიძინას ნაჩუქარი ფულითაცძ არა აქვს თქვენს სახელისუფლებო ჯოგს უზარმაზარი ხელფასები, პრემიები, ათასგვარი პრივილეგიები? ასე შემთხვევით არ „მოსპეთ“ ქვეყანაში საზიზღარი კორუფცია და... ასე შემთხვევით წარმატებული რეფორმებით არ გადარია მიშამ მთელი დასავლეთი და ამერიკა?!

**ბიძინა ივანიშვილი ის იშვიათი გამონაკლისია, რომელიც ცოტა გვიან, მაგრამ მაინც აშკარად მიხვდა ნაცების პოლიტიკურ სიბინძურეს (ნებისმიერი პოლიტიკა ბინძურია, როცა ის საკუთარ ქვეყანას, საკუთარ ხალხს თრგუნავს, ამცრობს და აღატაკებს!), თავი გაწირა საქართველოს გადასარჩენად და ჩვენი გონიერი მოსახლეობის მხარდაჭერით აუცილებლად შეძლებს „ქართული ოცნების“ განხორციელებას!**

შენ, არაძვირფასო ნუგზარ და შენი სამეგობრო, რაც უფრო მეტს იხუვლებთ და იზმუვლებთ – „გიჟები“, გიჟებიო!“ მით უფრო მალე გაქრებით პოლიტიკური არენიდან... თუმცაღა, როგორც ამერიკელებმა დააბარეს მიხეილ სააკაშვილს – გაქრებით მშვიდობიანად და დემოკრატიულად.

ბედი თქვენი, რომ ქართველი ხალხი და „ქართული ოცნების“ ლიდერი ყველაფრის მომთმენი, ყველაფრის ამტანი და ძეშეცდომილთა „მომფერებლებიც“ კი არიან.

თუმცაღა, მოთმინებასაც აქვს საზღვარი...

**სპარტაკ ქობულია**

ვინ როგორ ხედავს

**ასრულდა კობა დავითაშვილის ოცნება: ეროვნული ფორუმი ბიძინა ივანიშვილის კოალიციას შეუერთდა. „ახლა დღის წესრიგში დგას „ეროვნულ ფორუმთან“ კონსულტაციები, „არ მინდა, ვინმესთვის რამე საწყენად ვთქვა, მაგრამ კოალიციისთვის „ეროვნული ფორუმი“ ბევრად უფრო ფასეულია, ვიდრე კახა კუკავა,“ – განაცხადა რამდენიმე დღის წინათ კობა დავითაშვილმა. და აი, ახლა უკვე ფორუმელებიც „ქართული ოცნების“ ირგვლივ დაირაზმნენ.**

„კოალიციის ჩამოყალიბებასა და ალიანსის გამოცხადებამდე, იმ პარტიის საინიციატივო ჯგუფი უნდა იქნას წარმოდგენილი საზოგადოებისთვის, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი და მისი თანამოაზრეები ქმნიან,“ – განაცხადა კახა შარტავამ ივანიშვილის ბიზნესცენტრში შეხვედრის დასრულების შემდეგ.

Tribuna.ge-ს ინფორმაციით, კოალიციაში „ეროვნული ფორუმის“ გაწევრება დაადასტურეს ივანიშვილის პარტნიორი პოლიტიკური ძალების ხელმძღვანელებმა ირაკლი ალასანიამ და დავით უსუფაშვილმა.

აი, კომენტარებიც, თუ რას ფიქრობს ხალხი:

დოდი – ბრავო: „გაუმარჯოს ფორუმელებს! ნაღდები და კარგები არიან!“

## ოქტომბრის ბოლოს ვნახოთ, ვინ გაიცინებს,

### ანუ დაიმატა ბიძინა ივანიშვილმა სერიოზული ძალა?

მოცინარი – სამში გრძელი: „რამდენი ვიცინე...... ნუ რა ძვირფასი შენაძენია.. პირდაპირ მშურს...ვაი, შენს პატრონს, იბანა, რავა ტყვილა ირჯები.. ეს უკვე გავიარეთ.. ყველა ოპო ერთად ზელდა ტალახს რუსთაველზე და მერე რა?

ბესარიონ: „შედეგიც სახეზეა! სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები არც მოღალატეები არიან და არც სულელები, – ისინი საქართველოს დაუძინებელი და შეგნებული მტრები არიან!“

მუხრანი: „მოცინარო! მუხრანს აქვს შენნაირებზე ერთი ლექსი, ასე თავდება: “რას იჯღანები, შე შობელძაღლო!“

გოგი: „მოცინარი და მისნაირები ნაგავსაყარზე! ბიძინამ სერიოზული ძალა დაიმატა...“

ბარბარე: „მოცინარო, უზრდელო არაკაცო, საიდან მოდიხარ და სად მიდიხარ, შე საცოდავო. ასე რამ გაგაბოროტა, რომ დაგიკარგავს სინდის-ნამუსი. შენისთანები მართლა არ სჭირდება საქართველოს...“

მეგრელი – პატრიოტი: „მოცინარო, ოქტომბრის ბოლოს ვნახოთ, ვინ გაიცინებს და, საერთოდ, ლანძღვას თავი დაანებე, არგუმენტებს მოუხმე თუ შეგიძლია! გაუმარჯოს ფორუმს! ეს უკვე სერიოზული ნაბიჯია ივანიშვილის მხრიდან. გაუმარჯოს ერთობას!“

დუტუ მეგრელი – „აბა,ართო ჯიმალეფი“. ძალიან კარგი რამ მოხდა! საჭირო იქნება რაიონებში მუშაობა, შეკრებები, მიტინგები. რესპუბლიკელები ხომ ვერ ჩაატარებენ მიტინგებს, სასაცილო იქნება!

მიტინგების ჩატარება შეუძლია მხოლოდ სამ ადამიანს: გუბაზს, ნინოს და ლევანს!“

„ფუ, ეს გურჯებიც აქ არიან, იმენა გრუზინული ოცნებაა რა...“

„კარგია, მივესალმები! ერთობის გარეშე ვერ დამარცხდება სააკაშვილი!

მიშისტებს თუ ნერვიულობისგან პულსი აუჩქარდა, ე.ი. მე მიხარია ავტომატურად.

„მიშისტებს იმისთანა შოკი გვაქ, სულ რომ თარგამაძეც მიიერთონ, მეტად ველარ აგვაღელვებს...“

„ეს გინდათ, ხალხო? ამის არჩევა გინდათ? ( მიუთითებს გუბაზ სანიკიძის სურათზე) გურჯისტანი ბლიად. დაფიქრდით სანამ რამეს გადაწყვეტთ! “

„ბიძინა ივანიშვილმა, როგორც იქნა, გადადგა პრაგმატული ნაბიჯი, რაც მისასალმებელია, იმედია კოალიციის შემადგენლობას ეროვნული ფორუმის გარდა სხვა ძალებიც შეემატებიან...“

„როგორც იქნა, დაძლეულია რესპუბლიკელების ბარიერი – ეს მაძლევს იმედს, რომ შედეგი დადგება და იქნება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისათვის მისაღები.“

„ყველა ერთის წინააღმდეგ! დიდ კოალიციურ გაერთიანებაში ყველა უნდა იყოს, ლიბერალიც და კონსერვატორიც.“

„შიდა კონკურენციაც კარგია, კანდიდატებზე პრაიმერებსაც თუ ჩაატარებენ, თუნდაც ინტერნეტსივრცეში, მთლად უკეთესი...“

**ნატა ნიბლაძე**

აქცია

# რატომ ითხოვენ პარლამენტის ვიცე-სპიკერის გასამართლებას?

**„ცენტრ-პოინტის“ მიერ დაზარალებულმა ადამიანებმა საქართველოს პარლამენტის წინ გუშინ მორიგი აქცია-მიტინგი გამართეს. დაზარალებული მენაშენეები წლებია სამართალს ეძებენ – კუთვნილი ბინების და თანხების მიღებას ითხოვენ, მაგრამ მათი პატრონი და პრობლემის მომგვარებელი ამ ხნის განმავლობაში არავინ აღმოჩნდა. პირიქით, როგორც ჩანს, მათთვის ხელშეკრულებით მიცემული პირობის შესრულებას არავინ აპირებს.**

6200-ზე მეტი დაზარალებული ადამიანი, მილიონობით შეჭმული თანხები, აუშენებელი და გაუცემელი ბინები... „ცენტრ-პოინტის“ „გმირობაა“, დაზარალებული მოსახლეობა კი, როგორც ვთქვით, წლებია, პასუხს ელის.

დაზარალებულ მენაშენეთა ასოციაციის გადაწყვეტილებით, ქუჩაში გამოსვლა და გაპროტესტება ერთადერთი საშუალებაა, ხმა მიაწვდინონ იმათ, ვინც ჯერ არს და პასუხიც მოსთხოვონ პიროვნებას, რომელიც პარლამენტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის სავარძელშიც ზის – ისინი ითხოვდნენ პარლამენტის ვიცე-სპიკერის რუსუდან კერვალიშვილისთვის დეპუტატის სტატუსის ჩამორთმევას და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.

დაზარალებულ მენაშენეთა ასოციაციის განცხადებით, „ცენტრ-პოინტისა“ და „დექსუსის“ მიერ დაზარალებული 6200 ადამიანი უსახლკაროდ არის დარჩენილი, მთავარი დამნაშავეები რუსუდან კერვალიშვილი და მაია რჩეულიშვილი არიან. დაზარალებული მოსახლეობა მათგან ითხოვს პასუხს და იმის ახსნას, თუ სად წავიდა მათ მიერ ბინების ასაშენებლად გადახდილი ფული, რატომ არ არის აშენებული ბინები. მათი დაანგარიშებით, დაახლოებით 120 მილიონ ლარზე არის საუბარი, რაც უკვე სისხლის სამართლის საქმეა. მოსახლეობა ითხოვს, დაიწყოს ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება, შესაბამისად, შეუჩერდეს რუსუდან კერვალიშვილს მანდატი, რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებს და დაისაჯოს ყველა დამნაშავე...

დაზარალებულ მენაშენეთა ასოციაციის ერთ-ერთი წარმომადგენლის მარინე ნაფეტვარიძის განცხადებით, კომპანია „დექსუსი“ ეპყრობა მათ არა როგორც დაზარალებულთ, არამედ როგორც ჩვეულებრივ რიგით კლიენტებს და მათგან თანხების დამატებას ითხოვს. კერძოდ, დამატებითი ღირებულების 18 პროცენტს და ერთ კვადრატულ მეტრზე 100 დოლარს. მარინე ნაფეტვარიძის განცხადებით, ეს უკანონო მოთხოვნაა, რადგან კონტრაქტში ეს გათვალისწინებული არ ყოფილა.

მოსახლეობა იმედგაცრუებული და აღშფოთებულია, კუთვნილ ბინებსა და თანხებს არ აძლევენ, პირიქით კომპანიები ცალმხრივად კონტრაქტის გაწყვეტით და ბინების დაყადაღებით ემუქრებიან.

სოფიო ჯვარაძე ერთ-ერთია იმ 6200 ადამიანიდან, ვისი ბინაც დღემდე დაუმთავრებელი შავი კარკასია, მისი თქმით „დექსუსი“ მას თანხის 35 ათას დოლარის დამატებას სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კარგავს იმ 45 ათას ლარს, რომელიც 8 წლის წინათ აქვს შეტანილი ბინის ასაშენებლად.

„ცენტრ-პოინტის“ მიერ დაზარალებულ მოსახლეობას, „კონსერვატიული პარტიის“ წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა და „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა გამოუცხადეს სოლიდარობა.

თინა ხიდაშელის განცხადებით, მოსახლეობის მოთხოვნები სამართლიანია, ისინი ითხოვენ რუსუდან კერვალიშვილისგან პასუხს, რადგან სწორედ მას აქვს ხელი მოწერილი თავის დროზე ამ ადამიანებთან გაფორმებულ კონტრაქტებზე. და პასუხისმგებელიც, შესაბამისად, ის არის.

„რესპუბლიკური პარტია“ მხარს უჭერს ამ ადამიანების კანონიერ და სამართლიან მოთხოვნას, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

**ლია გრიგოლია**

უცხოური გაზეთიდან



# სააკაშვილის არჩევანი

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აღშფოთებით აპროტესტებს ნებისმიერ შედარებას მასსა და მის მოსისხლე მტერს, რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს შორის.**

„ვაშინგტონ პოსტის“ სარედაქციო კოლეგიასთან გასული კვირის შეხვედრაზე მან, გაღიზიანებულმა, ჩამოთვალა სხვაობები: პუტინის რეჟიმი კორუფციას ეფუძნება, მაშინ, როდესაც მისი იმითაა ცნობილი, რომ გაწმინდა ერთ დროს გასვრილი პოლიცია და ბიუროკრატია. პუტინი ეომება უმცირესობებს, მაშინ, როდესაც სააკაშვილის მთავრობამ რელიგიური პლურალიზმის დასაცავად სპეციალური კანონი მიიღო; პუტინი ხშირად ეწინააღმდეგება აშშ-ის საგარეო პოლიტიკას, მაშინ, როდესაც საქართველო ამერიკის მტკიცე მოკავშირეა და აორმაგებს თავის კონტინგენტს ავღანეთში.

მაშინ რატომღა ხვდება ქართველი ლიდერი იმავე კონტექსტში ძალაუფლებისმოყვარე რუს კაცთან? 2012 და 2013 წელს სააკაშვილს, რომლის მმართველობის ვადაც იწურება, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ელის. მან უარი განაცხადა იმის გამორიცხვაზე, რომ პუტინის მიერ დაპატენტებული მანევრის გამეორებას გეგმავს. სააკაშვილმა შარშან ისეთ რეფორმას დაუჭირა მხარი, რომელმაც პრემიერ-მინისტრის სასარგებლოდ პრეზიდენტის პოზიცია შეასუსტა, ხოლო ჩვენთან შეხვედრისას, ამ ორი თანამდებობის ერთმანეთით შეცვლის შესაძლებლობა, ზუსტად ისე, როგორც ეს პუტინმა გააკეთა 2008 წელს, ღიად დატოვა — **„მე არ მინდა ვიქცე გაკოტრებულ პოლიტიკოსად** (lame duckძ“, — გვითხრა მან.

საქართველოს საკონსტიტუციო რეფორმა, თუ არ ჩავთვლით სააკაშვილის პირად ამბიციებს, გამართლებული იყო. არჩევნები საქართველოში, მიუხედავად მისი ხარვეზებისა, უფრო სამართლიანი და თავისუფალია, ვიდრე რუსეთში. რეალურად სწორედ ის ფაქტი, რომ საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის პიონერი იყო ლიბერალური ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების თვალსაზრისით, ვაშინგტონში მისი ორპარტიული მხარდაჭერის მიზეზი გახდა და იმიტომ იქცა ის თავის რეგიონში, კავკასიაში, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების წამყვან კანდიდატად.

მაგრამ აი ეს, უმნიშვნელოვანესი საკითხია: **თუ მომავალი არჩევნების შედეგად შეიქმნება მთავრობა, სადაც დომინანტური როლი ექნება ისევ სააკაშვილს, რომელიც ხელისუფლებაშია 2003 წლის „ვარდების რევოლუციიდან“, მისი მოკავშირეები შეერთებულ შტატებში და სხვა დასავლურ ქვეყნებში, ალბათ, იმ დასკვნამდე მივლენ, რომ ის სულაც არ არის გამონაკლისი რეგიონში.** ქვეყნის ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა მაგალითად სასამართლო, ქველებურად მყიფეა, მედიის დამოუკიდებლობა — მერყევია. სააკაშვილის პარტია, ალბათ, დომინანტური იქნება მომავალ საპარლამენტო არჩევნებში. **თუ ქართული დემოკრატია განმტკიცებას აპირებს, სააკაშვილმა პატივი უნდა სცეს საკონსტიტუციო ვადებს და გზა დაუთმოს სხვა ლიდერებს.**

პრეზიდენტმა ობამამ, რომელსაც გასული სამი წლის განმავლობაში სააკაშვილისგან თავი შორს ეჭირა, გასულ კვირას ის თეთრ სახლში მიიღო. ეს ნაწილობრივ იყო ჯილდო იმისთვის, რომ, მიუხედავად რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ამჟამინდელი ოკუპაციისა, საქართველომ რუსეთის გაწევრება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში დაუშვა; გარდა ამისა, ამით ობამამ რესპუბლიკელების იმ პრეტენზიებსაც უპასუხა, რომელთა თანახმად, სააკაშვილი აშშ-ის ერთ-ერთი მოკავშირეა და ობამა მას არაფრად აგდებს. თავის მხრივ, სააკაშვილმა განაცხადა, რომ შეხვედრის შედეგებით კმაყოფილია. ამ შეხვედრაზე ობამამ მას სამხედრო თანამშრომლობის განმტკიცებისა და თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების განხილვის პირობა მისცა.

**მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ქართველმა პრეზიდენტმა ობამას ეს ნათქვამიც გაიგონა: „ჩვენ ველით სამართლიან და თავისუფალ არჩევნებს“ და იმას, რომ „საქართველოში განხორციელდება ძალაუფლების ოფიციალური გადაცემა“.**

**თუ ვაშინგტონი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაასკვნის, რომ ეს მოთხოვნები არ შესრულდა, საქართველოს დიდი პრობლემები ელის იმისდა მიუხედავად, გაიმარჯვებს ობამა არჩევნებში, თუ არა.**

washingtonpost.com

ჩვენ

# ავადმყოფების ქვეყანა და საავადმყოფოების მშენებელი პრეზიდენტი

დილით, ჩვეულებისამებრ, ფალიაშვილის ქუჩის მიმდებარე ხეივანი გადავჭერი. ნაძვები და ფიჭვები, ჯერ კიდევ ყინვისგან შემკრთალნი, თუმცა მზის სხივებით გაბადრულნი, მდუმარედ იდგნენ.

ცოტაც და ნაცნობი ლტოლვილი შემხვდა. ახალგაზრდა არ ეთქმის, მაგრამ ჯანზეა. ოღონდ უსაქმურობა მკლავს. ჰოდა დადის, ხან სად გადავეყრები, ხან სად.

— კაცო, ბატონი ბიძინასი როგორი იმედი მქონდა. იმედი კი არა, მეგონა ქვეყანა გადარჩა.

— და ახლა რა მოხდა? — ამჯერად მე შევცბი.

— რა და, ის მილიონები რომ ჩამოურიგა ამ დავითაშვილ-ძიძიგურს თუ უსუფაშვილ-ალასანიას, ძვირადღირებული ჯიპები შეიძინეს და...

— აბა რა ვქნათ, თავს ყაჩაღები დაესხნენ.

— ხალხი ასე ამბობს, მაგათმა სათავისოდ აიწყვეს ცხოვრებაო. ამ ტელევიზიებმა ხომ ტვინი გაგვიბურღეს.

შენ რა გგონია, ივანიშვილთან უკეთურად თუ მოიქცევიან, შეარჩენს ვინმეს რამეს? ხალხი ბრმა და ყრუა? ალასანია ლამის სახლში არ შედის. მართალია მიშასავით არ დაჰყავს ყვითელი ავტობუსით ხალხი, სამაგიეროდ შეჭირვებულებს ხვდება.

— განა ბიძინასი არ მჯერა, მაგრამ რა ვქნა... — ბოლოს, როგორც იქნა, დავარწმუნე.

თუმცა მანამდე საახალწლო სუფრაზე რამდენიმე ოჯახში მოვხვდი. მეტწილად ახალგაზრდებთან. რჩეული გოგო-ბიჭები იყვნენ, თავიანთი ახალგაზრდული ოჯახებით. ჰოდა, დრო ვიხელთე, მინდოდა მათი თაობის ინტერესებს ჩავწვდომოდი. ხომ ამბობენ, ახალგაზრდები განზე დგანან, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათო. ნურას უკაცრავად, არც ეგრე ყოფილა საქმე ბატონი მიშა რომ იტყვის.

მე კი მინდოდა შემეხსენებინა, დარბაისლურად შემეთავაზებინა, მაგრამ ვინ დამაცადა, ბატონი ბიძინას სადღეგრძელო ერთ, მეორე და მესამე ოჯახშიც ფეხზე ადგომით შეისვა. არადა, თითოეულ სუფრას, ერთ პატარა ქორწილს რომ ეყოფა, იმდენი ადამიანი, უმეტესობა კი ახალგაზრდა უჯდა. მოგეხსენებათ ქართველი კაცის ამბავი. რაც უნდა უჭირდეს, იმდენს მაინც შეიძლებს, სტუმარს სატკივარი არ დაანახოს, მერე მთელი თვე იშიმშილებს. იმ დღეებში ვინც მხვდებოდა, ყველა ბიძინა ივანიშვილზე საუბრობდა. აი კაცი, მოკლედ, ნათლად და მამულიშვილურად მოგვაგება თავისი ლოცვა-კურთხევაო.

ამას წინათ ერთი ნაცნობი ქალბატონი — მზია კაიშაური უბოდიშოდ გამოაგდეს სამსახურიდან იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნაზე ხელმოწერებს აგროვებდა. მაშინ მარტო მან 1500 ხელმოწერა მოაგროვა. რომ მეგონა, რუსთავს ეძინა, მიჩუმათებული, მიმკვდარებულიაო, არც ეგრე ყოფილა საქმე. იმ მზიას შემდეგ სხვა ბევრმაც აუწყო ფეხი.

ამ დროს მიშა დადის მაკრატლით ხელში. აქეთ საავადმყოფოებს, იქით ხიდებს, მაღაზიებს, ათასჯერ უკვე გახსნილ და ლენტგაჭრილ საწარმოებს ხსნის და ხსნის. ხუთვარსკვლავიან საავადმყოფოებს სწორედ იმ პენსიონერებს ჰპირდება, რომლებიც, ღმერთმა ნუ ქნას ავად გახდნენ, თორემ არა მარტო ისინი, მათი ოჯახის წევრებიც კი ასეთ ძვირადღირებულ საავადმყოფოებში ფეხს ვერ შედგამენ. და თუკი ხუთვარსკვლავიანი საავადმყოფო გახსნა, ამიტომ ვართ გაბრწყინებულნი, ეკონომიკააყვავებული ქვეყანა? ეკონომიკის მინისტრს წარმოდგენა არა აქვს ქვეყნის მეორე ინდუსტრიულ ქალაქ რუსთავზე. რაღაც არ მსმენია, ერთხელ მაინც მოენახულებინოს. შეიძლება ვცდები და იყო კიდეც, მაგრამ რა აზრი აქვს ერთბაშად ამ დაქცეულ-ნაძარცვი და ჩალის ფასად გასხვისებული ფაბრიკა-ქარხნების აღორძინების გეგმა არ წარმოგვიდგინოს!

ამ დღეებში ჩვენს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (აბა ნაცებს გაზეთები შეიწუხებდნენ თავსძ გამოქვეყნდა დემოგრაფის, ქვეყანაში განგაშის ზარის შემომკვრელის ანზორ თოთაძის ვრცელი წერილი **„ერის ყველაზე დიდი სატკივარი“**. ეს სატკივარი კი არა, უფსკრულთან მიყენებული ხალხის განგაშის უკანასკნელი ზარი მგონია. ამ სტატიის შემდეგ, ნებისმიერი ხელისუფალი, რომელსაც ძარღვებში წვეთი სისხლი მაინც უჩქეფს ქართული, საგანგებო ზომებს მიმართავდა, არჩევნებზე კი არა, ერის გენოფონდის უპირობო გადარჩენაზე იზრუნებდა, თავს გადაიკლავდა ხალხისთვის და ერიც გაუგებდა, დაუფასებდა ამ ამაგს. არადა, ამიერკავკასიაში ყველაზე ხალხმრავალი ქვეყნის მოსახლეობა, მართლაც გამორჩეული ღირსებისა და კულტურისა, 1992 წლიდან კატასტროფულად მცირდება. მე, როგორც რუსთავში დემოგრაფიული საზოგადოების ყოფილი თავმჯდომარე იმ ავადსახსენებელ ოთხმოცდაათიან წლებში, კარგად ვიცნობ ამ საქმეს. რუსთავის მაშინდელი ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით რუსთავის ქალაქკომის მაშინდელი პირველი მდივანი თეიმურაზ ხაზარაძე ყოველმხრივ მიჭერდა მხარს და პირველ წელს აღრიცხვაზე მრავალშვილიანი (4 შვილი და მეტიძ სამასამდე ოჯახი გვყავდა. სამ-ოთხ წელიწადში ეს ციფრი გაორმაგდა. დიახ, თუ ეკონომიკური ხელშეწყობა ექნება, ვინ ვინ და ქართველმა კაცმა კარგად უწყის, რას ნიშნავს ბევრი შვილის სიყვარული და სიკეთე. საზღვარგარეთ გადახვეწილ ორ მილიონამდე ქართველის დაბრუნებაზე ბატონი ბიძინასა და უწმინდესის გარდა სიტყვა არავის დასცდენია. ამათ ის უნდათ, რაც მეტი ქართველი დატოვებს ქვეყანას და ეს მიწა ადგილობრივი ეთნოსისგან გაიწმინდება, იპარპაშებენ, ფულის სანაცვლოდ ახალმოსახლეებს აფრიკის ქვეყნებიდან მოიწვევენ. ამათ მხოლოდ ის ადარდებთ, საკუთარი მუცლები გამოიძღონ, საკუთარი ოჯახები ფუფუნებაში ამყოფონ და ახალგაზრდა თაობები ეროვნული ტრადიციებისგან მოწყვეტილად, ბრიყვებად და უმეცრებად გაიზარდონ.

კმარა, ერო! დადგა დრო ქვეყნის გადარჩენისა. დღეს ვინც სამშობლოს სამსახურში არ დადგება, მისი მომავალი განწირულია.

მაგრამ მჯერა და ასეც არის: ჩვენი მოსახლეობის უმეტესობა და მათ შორის საქართველოში მცხოვრები სხვა ერებიც თავიანთ სიტყვას იტყვიან.

**გივი ჯახუა**

ინფორმაცია

## დიმიტრი მედვედევი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსული ბაზების ძლიერებაზე საუბრობს

**აფხაზეთსა** და ე.წ. სამხრეთ ოსეთში დისლოცირებულ რუსულ სამხედრო ბაზებს ნებისმიერი აგრესორისთვის „არათანაზომიერი ზარალის“ მიყენება შეუძლია . როგორც „რია ნოვოსტი“ იუწყება, ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა საკუთარ მომხრეებთან შეხვედრაზე განაცხადა. მისი თქმით, ეს საქართველოში კარგად ესმით.

ახლა ბაზები ისეთ მდგომარეობაშია, რომ შეუძლია, ძალიან ძლიერად დაიცვან ამ ორი პატარა სახელმწიფოს და, შესაბამისად, რუსეთის ინტერესები. ის საკმარისი სხვადასხვაგვარი შეიარაღებაა, რომელსაც შეუძლია არათანაზომიერი ზარალი მიაყენოს ნებისმიერ აგრესორს და მათ ეს ესმით, თავად შეშლილ სააკაშვილსაც კი ესმის, — განაცხადა მედვედევმა.

მისივე თქმით, რუსეთის სამხედრო მშენებლობის გეგმების შემუშავებისას საქართველოს რემილიტარიზაციასაც ითვალისწინებენ. „სიმართლე რომ ითქვას, ეს მილიტარიზაცია ე.წ. ხუთდღიანი ომის შემდეგაც არ შეჩერებულა. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს მონაცემები, რომ აშშ-ის ადმინისტრაციისა და ზოგი სხვა ქვეყნის, ახლო და შორეული მეზობლების ხაზით გრძელდებოდა სხვადასხვა სახის შეიარაღების მიწოდება. სწორედ ამიტომ ვიყავით იძულებულნი, გაგვეძლიერებინა ბაზები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“, — განაცხადა მედვედევმა.

ამასთან, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მოსკოვს არ შეუძლია, სხვა სახელმწიფოებს საქართველოსთვის იარაღის მიყიდვა აუკრძალოს.

## ჯონდი ბაღათურია ანტიკორუფციული კომისიის შექმნას ითხოვს

**„ქართული დასი“** ქვეყანაში ელიტური კორუფციის ფაქტების გამოვლენის მიზნით, ანტიკორუფციული საგამოძიებო საპარლამენტო კომისიის შექმნის ინიციატივით გამოდის.

როგორც „ქართული დასის“ ლიდერმა, ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრმა დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მისმა პოლიტიკურმა გუნდმა უკვე დაიწყო პროექტ „კორუფციული რვაფეხას“ განხორციელება, რომლის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნეპოტიზმსა და პროტექციონალიზმში ამხილეს, სოფლის მეურნეობის ახლანდელი მინისტრი ზაზა გოროზია კი ამის ხელშემწყობად. მისი თქმით, პროექტის ფარგლებში გამოიკვეთა რიგი ფაქტები და ყურადღება მიიპყრო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მისი ოჯახის სწრაფად გამდიდრებამ.

ამიტომ, ჯონდი ბაღათურია პარლამენტში ანტიკორუფციული საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს, რომელიც შეისწავლის პრეზიდენტის და მისი ოჯახის წევრების სწრაფად გამდიდრების მიზეზებს და ასევე, შეისწავლის ხელისუფლებაში არსებულ ელიტური კორუფციის სხვა გამოვლინებებს, რომელმაც, ბაღათურიას შეფასებით, ქვეყანაში შექმნა მონოპოლიები და ხალხს ცხოვრება გაურთულა.

— თუ პრეზიდენტს სუფთა ბიოგრაფია აქვს, ის ამ ინიციატივას ხელს არ შეუშლის, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უმრავლესობის ხელით, ინიციატივას დაბლოკავს. ასეთ დროს პრეზიდენტი უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდება და მის მოღვაწეობაში ცუდი პრეცედენტი იქნება, — დასძინა ბაღათურიამ.

ინტერპრესი

თვალსაზრისი

# სააკაშვილის პრემიერობა – საფრთხე თუ უსაფრთხოება?

**სააკაშვილის პრემიერობის საკითხით აშშ-ის ეროვნული დაზვერვაც დაინტერესდა და თან იმ დონეზე, რომ ეს თემა საფრთხეების შეფასების დოკუმენტში მოხვდა, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოში სააკაშვილის პრემიერად დარჩენის მოლოდინი არსებობს, რამაც „შესაძლოა, გავლენა იქონიოს დაძაბულობისშემცირების პერსპექტივაზე“.**

**საინტერესო კი ის არის, თუ ეს უკანასკნელი ფრაზა როგორ შეიძლება იქნას გაგებული. სააკაშვილის პრემიერობა თუკი დადებით გავლენას იქონიებს დაძაბულობის შემცირების პერსპექტივაზე, ცხადია, ამ შემთხვევაში მას დასავლეთის მხარდაჭერა ექნება.**

საქართველოში პრემიერ-მინისტრის ვინაობის საკითხი მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც კონსტიტუცია შეიცვალა და მთელი ძალაუფლება პრემიერ-მინისტრს გადაეცა. რაც მთავარია, ეს ცვლილებები ძალაში 2013 წლის შემდეგ შევა, რაც მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტი აღარ იქნება. შეგახსენებთ, რომ ეს ცვლილებები 2010 წლის ოქტომბერში იქნა მიღებული.

მართალია, ამ ცვლილებებით პრეზიდენტის უფლებები შემცირდა, მაგრამ ამის სანაცვლოდ იმდენად გაიზარდა პრემიერის უფლებები, რომ რეალურად პრეზიდენტს პრემიერით ეცვლება სახელი. სწორედ ამის გამო გაჩნდა მოლოდინი, რომ სააკაშვილი ხელისუფლების რეალურ მმართველად დარჩენის საფუძველს იქმნის და საქართველოში რუსული სცენარი განმეორდება.

აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორის ყოველწლიურ ანგარიშში, სადაც შეფასებულია მსოფლიო მასშტაბით არსებული საფრთხეები და აშშ-ის კონგრესს წარედგინება, საუბარია კავკასიაში არსებულ მოუგვარებელ კონფლიქტებზეც, რომელიც, ანგარიშის თანახმად, ევრაზიის „ყველაზე სავარაუდო ცხელ წერტილებს“ შორის რჩება.

**„დაძაბულობის გარკვეული წილი გამომდინარეობს მოსკოვის მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის, ოკუპაციიდან და (ამ რეგიონებში რუსეთის) სამხედრო ყოფნიდან, ასევე (რუსეთის მხრიდან ამ რეგიონებთან) პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებიდან“,** – ნათქვამია მოხსენებაში.

ანგარიშში ისიც არის ნათქვამი, რომ **„თბილისმა რუსეთი საქართველოში 2010 და 2011 წლებში განხორციელებულ მთელ რიგ აფეთქებებში თანამონაწილეობაში დაადანაშაულა, ხოლო კრემლი რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკურ ჯგუფებთან საქართველოს კავშირებს უყურებს ეჭვის თვალით“.**

რაც შეეხება საქართველოს საშინაო პოლიტიკას, ანგარიშში აღნიშნულია, რომ ახალი კონსტიტუცია „2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრემიერ-მინისტრის თანამდებობას გააძლიერებს, რაც ზოგიერთებს იმის მოლოდინს უჩენს, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი, შესაძლოა, პრემიერ-მინისტრის რანგში ხელისუფლებაში დარჩენას ეცადოს, რამაც, შესაძლოა, გავლენა იქონიოს დაძაბულობის შემცირების პერსპექტივაზე“.

**„ამ ფრაზის გაგება შეიძლება როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად“,** – ამბობს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი. თუმცა, მიიჩნევს, რომ **„ასეთი ორმაგი გაგების დოკუმენტს აშშ-ის დაზვერვა არ შეიმუშავებდა. ამიტომ ამ ვითარებაში რაიმე დასკვნის გაკეთება ძნელია“.**

დამოუკიდებელი ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე კი ამბობს, რომ ამ ფრაზას შეიძლება ის მნიშვნელობა ჰქონდეს, რომ სააკაშვილის პრემიერად დარჩენა საფრთხედ არის შეფასებული.

„ინგლისურ დედანში ამ ფრაზის იმ მნიშვნელობით გაგებაც მისაღებია, რომ სააკაშვილის პრემიერ-მინისტრობა დარტყმის ქვეშ დააყენებს კონფლიქტის მოგვარებას. ამ საკითხზე მე იმ ლოგიკით ვხელმძღვანელობ, რომ სააკაშვილის დარჩენა დაძაბულობას ნამდვილად ვერ შეამცირებს. ეს არის ცალსახა და აქედან გამომდინარე, აშშ-ის დაზვერვა ლოგიკის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა. სხვა თემაა, თუ რა სურს ამერიკის ხელისუფლებას, მაგრამ მეორე თემაა ის, რომ ისინი რეალობაზე თვალს ვერ დახუჭავენ.

**„დღეს დაძაბულობის მთავარი ფაქტორი არის სწორედ ის, რომ საზოგადოებაში არის ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნა და აქედან გამომდინარე, სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს აშშ-ის დაზვერვაც, რომ დაძაბულობა შენარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ დარჩება სააკაშვილი, რადგან არის მისი შეცვლის მოთხოვნილება.**

**სწორედ ამას ამბობს აშშ-ის დაზვერვაც, რომ სააკაშვილის კვლავ ხელისუფლებაში დარჩენა სტაბილურობას შეუქმნის საფრთხეს. მე ასე გავიგე იმიტომ, რომ ლოგიკურად ეს ასეა და ამაზეა საუბარი. სხვა თემაა, პრეზიდენტების შეხვედრას ნაციონალური ტელევიზიები როგორ აპიარებენ და მეორე თემაა, რა დაიდო ამერიკის დაზვერვის დასკვნაში“,** – ამბობს ხათუნა ლაგაზიძე.

**თეონა ხარაბაძე,**
Presage.tv



გამოხმაურება




# ვის სჭირდება ბათუმში აჭარის დამპყრობლის სახელობის მეჩეთი?!

## შეცდომის უფლება აღარ გვაქვს, ერთად ვიზრუნოთ ხვალინდელ სამშობლოზე!

**ბათუმში თურქეთის სულთან აბდულ აზიზიეს მეჩეთის აშენების საკითხი 2010 წლის თებერვლიდან გახდა ვნებათაღელვის საგანი.**

**საქართველოსა და თურქეთს შორის კულტურულ ძეგლებთან დაკავშირებით მომზადებული ხელშეკრულების პროექტი თურქეთის ტერიტორიაზე, ტაო-კლარჯეთში მდებარე რამდენიმე ქართული ეკლესიის რესტავრაციის სანაცვლოდ ახალციხეში რაბათის, ხოლო ქობულეთში კვირიკეს ჯამეების რესტავრირებასთან ერთად, ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აგებას ითვალისწინებდა. ერთი წელია, მიმდინარეობს ცხარე კამათი, იმართება მიტინგები – აშენდეს თუ არ აშენდეს აზიზიეს მეჩეთი ბათუმის ცენტრში. ამასთან დაკავშირებით არაერთი წერილი გამოქვეყნდა პრესაშიც. ამ წერილით მინდა გამოვეხმაურო და მხარი დავუჭირო თვალსაჩინო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის შოთა ზოიძის მიერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 3 თებერვალს გამოქვეყნებულ წერილს – „მიმართვას ქართველი ხალხისადმი“. იგი მამულის სიყვარულით გულანთებული კაცის ღაღადია ერისა და ბერის წინაშე.**

დავიწყებ სტატისტიკით. დღეისათვის აჭარაში 180 მეჩეთი, 51 მედრესე, 9 პანსიონი და 16 მედრესე-პანსიონია. ახლა მინდა ბათუმში მეჩეთის აშენების მხარდამჭერების და ქალაქში მცხოვრები თუ ვიზიტორი მუსლიმების მისამართით ვთქვა: **ხელი ვინმემ შეგიშალათ, თქვე დალოცვილებო, ვინმემ შეგავიწროვათ, ლაღად არ გრძნობთ თავს ჩვენი კონსტიტუციითა და კანონმდებლობით?!**

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს: დღეს დემოკრატიულ ქვეყანაში თუ მლოცველი არის, სამლოცველოც უნდა იყოს. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკით ალბათ დარწმუნდებით, ჩვენი მუსლიმები როგორ განებივრებულები არიან ამ მხრივ. ამ ფონზე კიდევ ერთი მეჩეთის აშენება რა საგანგაშოაო, იკითხავს ალბათ საქმის არსში ჩაუხედავი და ჩვენი ქვეყნის ისტორიის არმცოდნე ადამიანი. რატომ უნდა თურქეთის მხარეს მაინცდამაინც ქართველთა სისხლისმსმელი სულთან აბდულ აზიზიეს სახელობის მეჩეთის აგება? რა იმალება ყოველივე ამის უკან – საღად მოაზროვნე ქართველი კარგად მიხვდება. წამოვიდგინოთ ახლა, ჩვენმა შვილებმა და შვილთაშვილებმა ასი წლის შემდეგ სამაჩაბლოში და აფხაზეთში, გნებავთ, თბილისში, პუტინის სახელობის სამხედრო სასწავლებლის გახსნა რომ მოითხოვონ ან გაგრაში მდებარე ეკლესიის რესტავრაციის სანაცვლოდ სკვერები რომ გახსნან და ძეგლი აუგონ ქართველთა სისხლით შელებილ ვლადიმირ ვლადიმიროვიჩს!

აზიზიეს მეჩეთი მე-19 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში თურქეთის სულთან აბდულ აზიზის დროს, ბათუმში დისლოცირებული თურქეთის სამხედრო მოსამსახურეებისთვის აშენდა. მოედანსაც აზიზიეს მოედანი ეწოდა. იმავე მოედანზე ხის ეკლესიაც იდგა, რომლის ეზოშიც დაასაფლავეს 1921 წელს თურქეთის არმიის ნაწილებთან ბრძოლაში დაღუპული იუნკრები. ეს ადგილი ბათუმელთათვის წმინდა ადგილია. **იქ სკოლებიდან ბავშვები უნდა მიგვყავდეს იუნკრების თავდადებისა და თავგანწირვის სწორუპოვარი ამბების მოსაყოლად... ან იქნებ ყველაფერი დავიწყებას მიეცა და შავშეთის, ტაო-კლარჯეთის, იმერხევისა და ლაზიკის წამგლეჯი თურქეთი ოკუპანტი ქვეყანა აღარ არის?!**

მეჩეთი? კი ბატონო, თუ ასე უნდა ჩვენს ხელისუფლებას, აშენდეს კიდევ ერთი მეჩეთი, ოღონდ ბათუმის გარეუბანში. რაკი უძლურები ვართ და დიპლომატიისა და ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ისტორიისაგანაც ასე შორს არიან ჩვენი ჩინოვნიკები, ოშკისა და იშხანის რესტავრირების სანაცვლოდ ღირს ამაზე წასვლა. ოღონდ ის იყოს არა პირსისხლიანი აზიზიეს სახელობის, არამედ ჩვეულებრივი მეჩეთი. წინასწარ ვიცი, როგორც უკვე არსებული მეჩეთი, ისიც იქნება ჩვენი გაქრობის მოსურნეთა შეხვედრისა და ბჭობის ადგილი, თურქული იდეოლოგიის პოლიტიკური ცენტრი. ამიტომ ხელისუფლების გასაგონად მინდა ვთქვა: **ნუ იქნებით ჯიუტები და თვითდაჯერებულები. როცა რაიმე გადაწყვეტილებას ღებულობთ, უნდა გრძნობდეთ, რომ თქვენს ნამოქმედარს, ერთი მხრივ, წინაპართა მკაცრი აჩრდილები განიკითხავს, ხოლო მეორე მხრივ – დაუნდობელი შთამომავლობა.**

ღმერთმა შეგინდოთ!

**დავით თედორაძე,**
საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავჯდომარე.
2012 წლის 7 თებერვალი

**P. S.** ხელისუფლება **მოსახლეობის არც ხმას ისმენს და არც თხოვნას ითვალისწინებს. როგორც წესი, რაც გადაწყვეტილი აქვს, ის უსათუოდ შესრულდება. არ გვინდა თავის მოტყუება. მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ აჭარა პრობლემად იქცევა საქართველოსთვის. ამ მშვენიერ კუთხეში უკვე მომრავლდნენ ანკარაში, კაიროსა და სტამბოლში სასულიერო განათლებამიღებული და გაწვრთნილი მუსლიმი ორატორები. ისინი თავისებურად ქრიან და კერავენ...**

**არის კი გამოსავალი?**

**დიახ, არის!**

**ნუ დაიშურებენ ნურაფერს პატრიოტი, მართლმადიდებელი ქართველი ბიზნესმენები. ზოგი რამ მოიკლონ და შეძლებისდაგვარად გაიღონ თანხები აჭარაში ეკლესიების ასაშენებლად. ამას ითხოვს და იხვეწება აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ზემოთ აღნიშნული მეჩეთებიდან და სკოლა-პანსიონებიდან აბსოლუტური უმრავლესობა თურქეთის ხელისუფლებისა და თურქი ბიზნესმენების თანხებით არის აშენებული.**

**შეცდომების უფლება აღარ გვაქვს!**

**ერთად ვიზრუნოთ ხვალინდელ სამშობლოზე!!**

**დ. თ.**

ინფორმაცია

## ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

**„უკანასკნელი დროის განმავლობაში, მასმედიაში დაფიქსირდა კითხვები და სპეკულაციები ბატონი ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ აღძრული სასამართლო სარჩელების შესახებ. შემდგომი ვარაუდებისა და ჭორების აღსაკვეთად ვადასტურებთ, რომ ნამდვილად გაგვაჩნია მნიშვნელოვანი პრეტენზიები ბატონი ჩხარტიშვილის მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოსა და დასავლური სასამართლოების აქტიური განხილვის საგანს.**

**სამწუხაროდ, ჩვენ იძულებული გავხდით, მიგვემართა აღნიშნული ქმედებებისთვის, რადგან კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მრავალჯერადი ცდა უშედეგო გამოდგა.**

**დარწმუნებულები ვართ, რომ სამართალი აუცილებლად გაიმარჯვებს, როგორც ეს მოხდა ჯოზეფ ქეის შემთხვევაში.**

**მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილად არ ვთვლით გავაკეთოდ რაიმე დამატებითი კომენტარი, ვიდრე არ მივიღებთ სასამართლოების საბოლოო გადაწყვეტილებებს“, – აღნიშნულია განცხადებაში.**

ინტერპრესი

აქტუალური თემა

# ხალხი მზადაა, არჩევნების გზით იბრძოლოს, მაგრამ გაყალბების შემთხვევაში, შესაძლოა, სხვა განწყობაზე დადგეს



**იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკაში მოსვლისას ბიძინა ივანიშვილი უარყოფდა, ახლა ხელისუფლებასთან ბრძოლის გზად ქუჩის აქციებს არ გამორიცხავს. მისი თქმით, თუ ხელისუფლებამ არჩევნები 20-30%-ით გააყალბა, ის ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ და თავიანთი ხმების დაცვისკენ მოუწოდებს. ივანიშვილის მხრიდან პოზიციის ასეთი ცვლილებების შესაფასებლად „ჯი-ეიჩ-ენი" პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**

**— ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლისას აცხადებდა, რომ ის გამორიცხავდა ხელისუფლებასთან ბრძოლას აქციების გზით, ახლა კი, როგორც ჩანს, ეს პოზიცია შეიცვალა. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია მასში ამ პოზიციის ცვლილება?**

— არ გინახავთ ადამიანი, რომელიც ქეიფში მიდიოდეს და არ აპირებდეს დალევას, შემდეგ კი სუფრა ისე წავიდეს, რომ თავი ველარ შეიკავოს დალევისგან?! სიტუაცია იცვლება და ამ სიტუაციის ერთ-ერთ პლუსად შეიძლება იქცეს ის, რომ იგი თავის პოზიციას არ იყოს მიჯაჭვული. როგორც მე ივანიშვილის ინტერვიუდან დამრჩა შთაბეჭდილება, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ის არ აპირებს ხელისუფლების შეცვლას ქუჩის საშუალებით და ხელისუფლების შეცვლის ერთ-ერთ გზად არჩევნები მიაჩნია. თუ არჩევნები გაყალბდება, მან არ გამორიცხა ამ გაყალბების წინააღმდეგ ქუჩის აქციები ხალხის დასაცავად და არა ხელისუფლების შესაცვლელად. საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილეში უფრო ღრმად შემოსვლის შემდეგ მან უფრო ნათლად დაინახა როგორც სხვა პოლიტიკური პარტიების, ასევე საზოგადოების დამოკიდებულება. თვითონ საზოგადოებაც ამ აზრზეა, რომ გამარჯვების ალბათობა უფრო მაღალია, თუ ყველა კარიდან შეუტევენ ციხე-სიმაგრეს. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ქუჩის აქციები და უარი ამ მიმართულებით შეიძლება არ იყოს პოლიტიკურად გამართლებული.

**— როგორ ფიქრობთ, მისი ეს განცხადება ხომ არ ნიშნავს ერთგვარ მზადყოფნას, რომ ხელისუფლების შესაცვლელად მხოლოდ არჩევნები საკმარისი არ იქნება?**

— ივანიშვილი პესიმიზმში მარტო ამ განცხადებიდან რომ დავადანაშაულოთ, არ იქნება მართებული, იმიტომ, რომ საქართველოში ბევრი იძახის და არ ვამჟღავნებ მათ, რომ არჩევნების მოგება შეუძლებელია იქ, სადაც ახალი მანქანა მუშაობს მმართველი პარტიის სასარგებლოდ. ამიტომ არის ლაპარაკი კანონის შეცვლაზე, კლიმატის შეცვლაზე, საარჩევნო გარემოს შეცვლაზე და ა.შ. ადამიანი რომ არ იყოს დარწმუნებული, რომ მისი მხარდამჭერები ხმას არ მოიპარავენ, ამაში გასაკვირი არაფერია.

**— რა შედეგების მომტანი იქნება ქუჩის აქციები მისთვის?**

— ბოლო პერიოდში აქციების მიმართ ჩამოყალიბდა დამოკიდებულება, რომ მან თავისთავად რაღაც შედეგი უნდა მოიტანოს. აქციები პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა. აქციებს, არჩევნების მსგავსად, სჭირდება კარგი ორგანიზება, ძალისხმევა, მობილიზაცია, ნაბიჯებისა და სტრატეგიის გათვლა, ავტომატური მოგება მარტო აქციებს არ მოაქვს. ბოლო პერიოდში მექანიკური აქციები გვქონდა. ისეთი ტენდენცია ჩამოყალიბდა, რომ ხალხის გამოსვლა იყო ფინალური წერტილი, რითაც პოლიტიკური პარტია კმაყოფილდებოდა. მხოლოდ ხალხი მიზნის მისაღწევად საკმარისი არ არის. ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური, კანონიერი, კონსტიტუციური გზით ისე მოქმედების გეგმა, რომ შედეგი მიიღოს, თორემ მარტო ხალხის გამოსვლით არაფერი კეთდება. ხალხის გამოსვლის პარალელურად, ხელისუფლებასთან და საერთაშორისო საზოგადოებასთან მუშაობაა საჭირო. ბევრკომპონენტიანია ის, რასაც არჩევნები და აქციები ჰქვია. არაბული ქვეყნების მაგალითი რომ ავიღოთ: ეგვიპტეში იქ, რომ ეს არ არის მარტივი პროცესი, ქუჩის აქციების გზა უფრო რისკიანი და მძიმე პროცესია. რა შედეგებს მოიტანს, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება შემდგომი ნაბიჯების სტრატეგია. შევარდნაძის დროს სააკაშვილის მხრიდან არჩევნების გაპროტესტებამ შედეგი გამოიღო, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ სააკაშვილის ეს ნაბიჯები გათვლილი იყო ბუშის ადმინისტრაციის სტრატეგიასთან მიმართებაში, ამერიკულ წარმომადგენლობასთან, მთელ დასავლურ სამყაროსთან. სააკაშვილს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა აღმასრულებელი ხელისუფლების პირებთან, რაც გამოიხატა იმაში, რომ ფაქტობრივად ყველამ გზა გაუხსნა და არავინ შეეწინააღმდეგა. სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის გუნდს ინტენსიური კავშირი ჰქონდა რეგიონებთან. ეს გუნდი უამრავი მიმართულებით ერთდროულად მოქმედებდა, ამ ყველაფერს ჰქონდა მოძებნილი თავისი ადგილი, ერთმანეთთან კარგად იყო დაკავშირებული და სწორედ ამან მოიტანა შედეგი და არა ხალხის რაოდენობამ. 35 000 ათასი კაცი იდგა მაშინ ქუჩაში და ამ რაოდენობის ხალხის ქუჩაში გამოყვანას არაფერი არ სჭირდება.

**— როგორ ფიქრობთ, ის კომპონენტები, რომელიც თქვენ ახსენეთ, რამდენად აქვს ბიძინა ივანიშვილს?**

— ამ კომპონენტებიდან უცხოელებთან ურთიერთობა, როგორც ჩანს, უკვე არის. ამერიკულ მხარესთან კონტაქტი, ელჩების მხრიდან ივანიშვილთან ურთიერთობის დამყარება, მედიასაშუალებების დათმობა — ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რეგიონებში მუშაობა ჯერ არ ჩანს, მაგრამ ამისთვის დრო არის. აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მუშაობა კი ისეთი საკითხია, რომ ამას ბოლოში გავიგებთ.

**— დაბოლოს, რამდენადაა ხალხი მზად მორიგი საპროტესტო აქციებისთვის?**

— ხალხი ნამდვილად მზადაა, არჩევნების გზით იბრძოლოს, მაგრამ თქმა იმის, რომ ამავე განწყობაზე იქნება ხალხი არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, ძნელია. ის ემოცია, რაც გაყალბების დროს ადამიანს უჩნდება, რომ თითქოს მეობას ართმევენ, ქართველისთვის მნიშვნელოვანია ხოლმე. ჩვენს ხალხს ემოციური აფეთქება სჩვევია. გამორიცხული არ არის, რომ თუ არჩევნები გაყალბდება, ხალხი სხვა ხასიათზე იყოს. ხალხს მართებულად მიაჩნია, რომ გამარჯვების ერთადერთი გზა არის არჩევნები, მაგრამ თუ არჩევნები გაყალბდა, იმ გამყალბებელს საზოგადოებისგან შესაბამისი სასჯელიც ექნება.

**ესაუბრა**
**ალექსანდრე ნაზახტეველი**

ენერგეტიკა



# გახუნებული მოლოდინი

**ბოლო წლებში მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგება ხელისუფლების უდავო მიღწევა რომაა, ამას ეჭვქვეშ არავინ აყენებს. „უსინათლობის" ხანაში დაბადებულმა ბავშვებმა, როგორც იქნა, „გემო გაუგეს" კინოსაც, გაბრდღვიალებულ ნაძვის ხეებსაც და ტელევიზორსაც, რასაც ელექტროენერგიით უწყვეტ მომარაგებას უნდა ვუმადლოდეთ. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ წლის მანძილზე თბილისის ელექტრომომარაგების მესამედი, რომელსაც, როგორც ცნობილია, დედაქალაქს სს „თელასი" აწვდის, დაახლოებით 120-კილომეტრიანი გადამცემი მაღალი ძაბვის ხაზებით ჰიდროელექტროსადგურის კასკადიდან „ხრამჰესი-1" და „ხრამჰესი-2"-დან მოდის.**

ეს ორი კასკადი წელიწადში საშუალოდ, შესაბამისად, 240 მდა 370 მილიონ კილოვატსაათს გამოიმუშავებს. „ხრამჰეს-1"-ში სამი ჰიდროაგრეგატია, „ხრამჰესი-2"-ში კი — ორი. მთელ ამ ელექტროენერგიას დისტრიბუციას სს „თელასი" უწევს, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისსაც ამარაგებს.

ახლო მომავალში კი, მდინარე ხრამზე ელექტროსადგურების ორ კასკადს მესამე, „ხრამჰესი-3" შეემატება — პროექტს შარშან დაფუძნებული კომპანია „ხრამჰესი-3" განახორციელებს, რომელიც თავდაპირველად მშენებლობის დამკვეთი, შემდგომ კი ამოქმედებული ჰიდროელექტროსადგურების მმართველი იქნება. აღსანიშნავია, რომ „ხრამჰესი-3" წელიწადში 450 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. პროექტის თანახმად, კასკადის პირველი სადგური 2015 წელს ამუშავდება, მთლიანად კასკადის მშენებლობა კი, რომელიც 193 მილიონი დოლარი ეღირება, 2016 წელს დასრულდება. ამჟამად დამკვეთი კომპანია „ხრამჰესი-3" ჰიდროელექტროსადგურებამდე მისასვლელი გზებისა და ხიდების მშენებლობის მოიჯარეებს, ასევე სათანადო ჰიდროენერგეტიკული მოწყობილობების პოტენციურ მიმწოდებლებს არჩევს. სპეციალისტებს დაწყებული აქვთ შესაბამისი გეოფიზიკური და გეოლოგიური საძიებო-კვლევითი სამუშაოებიც, მომზადებულია სათანადო პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. აღსანიშნავია, რომ საინჟინრო-საძიებო სამუშაოებს ენერგეტიკის სფეროში მოღვაწე შვეიცარიული კომპანიის სპეციალისტები შეასრულებენ.

მას შემდეგ, რაც მდინარე ხრამზე ჰიდროელექტროსადგურების სამივე კასკადის სამშენებლო სამუშაოები დასრულდება და ყველა ელექტროსადგური მწყობრში ჩადგება, ისინი მთლიანად დაახლოებით მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ.

მანამდე კი, ვიდრე ეს პროექტი განხორციელდება, უახლოეს სამ წელიწადში საქართველოში რამდენიმე სხვა ენერგოპროექტს შეესხმება ფრთები. კერძოდ, წლეულს სომხეთთან დამაკავშირებელი 400 კილომეტრის სიგრძის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა დაიწყება. ასეთივე მაღალი ძაბვის ხაზი, რომელიც ერთმანეთს საქართველოსა და თურქეთს შორის ელექტროენერგიის გადაცემის კიდევ ერთი არხი იქნება, მაისში ამოქმედდება, სრული დატვირთვით 2014 წლიდან ამუშავდება. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წლისთვის ქვეყანა წლიურად დამატებით კიდევ 1,54 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რასაც აღნიშნული ვადისთვის ათი მცირე ელექტროსადგურის აშენებამაც უნდა შეუწყოს ხელი. ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ თუმცა ენერგეტიკის განვითარების სამომავლო პერსპექტივების განხილვისას, მთავრობის, სპეციალისტების საკმაოდ ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, გეზი დიდი ჰიდროელექტროსადგურებზე იყო აღებული, ამ მიმართულებით მსხვილ პროექტებში სახსრების დამბანდებელთა მოძებნა რთული საქმე აღმოჩნდა. ამდენად, იმის მიუხედავად, რომ არსებული და მწყობრში ჩასადგომი ელექტროგადამცემი საკმაო სიმძლავრისა და ოდენობისაა, საქართველოდან ელექტროენერგიის ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირება, რაც ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბალანსს უდავოდ მნიშვნელოვნად წაადგებოდა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

არსებული მონაცემებით, მდინარე ალაზანზე „ხადორი-2" ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა უახლოეს ხანში, თვის დამლევამდე უნდა დასრულდეს. იმ ათი მცირე ჰესიდან, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში 2015 წლის მიწურულამდე უნდა ჩადგეს მწყობრში, „ბახვი-3" ჰესის მშენებლობა წლეულს აგვისტოში უნდა დასრულდეს, „ნაბეღლავი" — გაისად მაისში, „ფარავანი" — 2013 წლის მაისში, „შილდა" — აგვისტოში, „ლარსი" — ოქტომბერში, „ბახვი-2" — ნოემბერში, „დარიალი" — 2014 წლის მაისში, „ლუხუნი-2" — დეკემბერში, ხოლო „მტკვარი" — 2015 წლის სექტემბერში.

აღსანიშნავია, რომ თუმცა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, რომ იტყვიან, „პორტფელში", მთლიანად, ოცი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მემორანდუმი აქვს, სამწუხაროდ, ხშირად, მთელი რიგი მიზეზების გამო, პროექტის რეალურ განხორციელებამდე საქმე არ მიდის. ეს კი, თავის მხრივ, საქართველოს არც ენერგოუსაფრთხოებას უწყობს ხელს და არც ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ექსპორტიორად მის გადაქცევას აჩქარებს.

ამრიგად, ჩვენი სოლიდური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის გამოყენებას ნამდვილად მძლავრი ფინანსური ბიძგების სჭირდება, თუმცა ამ ბოლოდროინდელი ფინანსური კრიზისი, რეგიონში მზარდი პოლიტიკური დაძაბულობა და, შესაბამისად, ინვესტორთა ყოყმანი კლიერ აფერხებს.

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

## რუსეთში უკრაინული ყველის იმპორტი აკრძალეს

**რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის სამსახურმა უკრაინული ყველის იმპორტი აკრძალა.**

**რუსული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, რუსეთის სანიტარიული სამსახურის ხელმძღვანელმა გენადი ონიშენკომ უკრაინიდან რუსეთში ყველის შეტანა აკრძალა.**

**ონიშენკოს უწყება რუსეთში უკრაინული ყველის იმპორტის აკრძალვას უხარისხობას უკავშირებს.**

**გენადი ონიშენკოს თქმით, რაც უფრო მეტი ლაბორატორიული კვლევა უტარდება უკრაინიდან შემოტანილი ყველის 178 ნიმუშს, მით უფრო მეტი უარყოფითი შედეგი ვლინდება.**

**უკრაინელები გენადი ონიშენკოს განცხადებას უსაფუძვლოს უწოდებენ. უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაი აზაროვმა ყველი საჯაროდ დააგემოვნა და მისი ხარისხი შეაქო.**

ინტერპრესი

გაუტიეს

# „თრიალეთის ოსეთიდა“

**ახლახან ინტერნეტში გავრცელდა (ვიკიპედიიდან) მასალა, რომლის სათაურია „თრიალეთის ოსეთი“. მასალის სათაურიდან ჩანს, რომ თურმე საქართველოს ისტორიული პროვინციის — ქვემო ქართლის მხარეში, კერძოდ, თრიალეთში არსებულა კიდევ ერთი ოსეთი — თრიალეთის ოსეთი. მართალია, ავტორი, როგორც ჩანს, ზრდილობის გულისთვის, მიუთითებს, რომ თრიალეთის ოსეთი ცენტრალურ საქართველოში, თრიალეთის ქედის კალთებზე კომპაქტურად დასახლებული ოსების მხარის პირობითი სახელწოდებაა, მაგრამ იქვე შემოსაზღვრავს „თრიალეთის ოსეთის“ ტერიტორიის ფარგლებს, რომელიც შეიცავს შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების სამხრეთ ნაწილს (ხაშურის, ქარელის, გორისა და ნაწილობრივ კასპის მუნიციპალიტეტები), აგრეთვე სამცხე-ჯავახეთის მხარის ბორჯომის მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთ და, გარკვეული ზომით, ქვემო ქართლის მხარის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთ ნაწილებს.**

ვიკიპედიის მასალა ძირითადად ეყრდნობა ა. ცუციევისა და ჟურნალისტების — კოჩიევასა და მარგიევის ნაშრომებს, რომლებშიც, განსაკუთრებით კი უკანასკნელთა ერთობლივ ნაშრომში, მოვლენები და პროცესები უაღრესად ცალმხრივადაა განხილული. ვიკიპედიის მასალის ავტორი განიხილავს ოსების რაოდენობას 1939, 1989 და 2002 წლების მოსახლეობის აღწერების მონაცემთა მიხედვით „თრიალეთის ოსეთის რაიონებში“. იგი თვითნებურად აფართოებს თრიალეთის საზღვრებს და 1939 წელს მოსახლეობის აღწერის მონაცემების ანალიზის დროს აღნიშნავს, რომ „თრიალეთის ოსეთის რაიონებში“, კერძოდ, ხაშურში, ქარელში, გორში, კასპში, ბორჯომში, თეთრიწყაროსა და წალკის რაიონებში ცხოვრობდა 40 ათასი ოსი, ბოლო 2002 წელს აღწერის დროს საქართველოში, სამხრეთ ოსეთის გარდა, 37 ათასი, მათ შორის ცენტრალურ საქართველოში 16 ათასი, „თრიალეთის ოსეთის რაიონში“ 14 ათასი ოსის ჩათვლით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სტატია მეტად ბუნდოვანია. მაგრამ სამაგი-

**ნათლად ჩანს სტატიის პათოსი — საქართველოში არსებობდა „თრიალეთის ოსეთი“ და ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს თრიალეთის ოსეთი დატოვა ათი ათასობით ოსმაო. ფაქტობრივად ისე გამოდის, რომ მთელი შიდა ქართლი ოსებით იყო დასახლებული და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ბორჯომის რაიონის ჩათვლით, და მის ქვემოთ ოსები ისტორიულად ცხოვრობდნენ.**

ეროდ ნათლად ჩანს სტატიის პათოსი — საქართველოში არსებობდა „თრიალეთის ოსეთი“ და ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს თრიალეთის ოსეთი დატოვა ათი ათასობით ოსმაო. ფაქტობრივად ისე გამოდის, რომ მთელი შიდა ქართლი ოსებით იყო დასახლებული და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ბორჯომის რაიონის ჩათვლით, და მის ქვემოთ ოსები ისტორიულად ცხოვრობდნენ. ამრიგად, დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველოში კაცი ისე ვერ გადავიდოდა, ოსეთი რომ არ გაევლო.

არსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსები მცირე რაოდენობით დასახლდნენ ბორჯომის რაიონში და თრიალეთშიც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ტერიტორიები „თრიალეთის ოსეთია“. სტატიის ავტორი პირდაპირ აღნიშნავს: **„თრიალეთის ოსეთის სტატუსი „ადმინისტრაციულად არასოდეს არ ყოფილა აღნიშნული, მაგრამ სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი 1921 წელს დავობდა სამხრეთ ოსეთისა და თრიალეთის ოსეთის ჩართვაზე საქართველოს სსრ შემადგენლობაში, ან მოითხოვდა თუნდაც თრიალეთის ოსეთის სამხრეთ ოსეთის ავტონომიის შემადგენლობაში ჩართვას“.**

ავტორი ამ შემთხვევაში ეყრდნობა ა. ცუციევის ნაშრომს (Атлас этнополитической истории Кавказа (1774-2004ძ. М, 2006, с, 63, 69ძ, სადაც მოყვანილ რუკაზე მონიშნულია თრიალეთის ტერიტორია და გაკვრით აღნიშნულია, რომ სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი დაობდა ამ ტერიტორიის ავტონომიის საზღვრებში ჩართვაზე. მოვლენა რომ უფრო ნათელი გახდეს, ცოტა რამ ისტორიიდან გავიხსენოთ.

თრიალეთი ისტორიული ქვემო ქართლის მხარეა. წყაროებში იგი პირველად მოიხსენია პირველი საუკუნის რომაელმა ავტორმა პლინიუს უფროსმა.

თრიალეთი თავიდანვე სამშვილდის საერისთავოში შედიოდა და ქართლის პიტიახშს ექვემდებარებოდა. შემდეგში, კერძოდ მე-9 საუკუნეში, გუარამ მამფალმა იგი არაბებს წაართვა და თრიალეთში მის მიერ შექმნილ „სამამფლოში“ შედიოდა მეზობელ მხარეებთან ერთად. ამავე საუკუნის 70-იან წლებში ლიპარიტ ბაღვაშმა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის გზაგასაყარზე ააგო საქართველოს ისტორიაში საკმაოდ ცნობილი კლდეკარის ციხე, რომელიც თრიალეთიდან შიდა ქართლში მიმავალ გზაზე მდებარეობდა. მანვე გააერთიანა თრიალეთში არსებული პოლიტიკური ერთეულები და შექმნა კლდეკარის საერისთავო. თრიალეთი უაღრესად მდიდარი იყო ბუნებრივი რესურსებით — ნოყიერი მიწებით, საძოვრებით, ნადირით მდიდარი ტყეებით და სხვ.

თანდათანობით იზრდებოდა მისი ტერიტორია. მე-11 საუკუნის დასასრულ დავით აღმაშენებელმა თრიალეთი სამეფო დომენად გადააქცია. შემდეგში, მონღოლთა და თემურლენგის შემოსევების შედეგად, თრიალეთი თითქმის დაიცალა მოსახლეობისგან. დაცარიელებულ მიწებზე უკვე მე-18 საუკუნიდან თრიალეთში გადმოსახლდნენ საქართველოს სხვადასხვა ისტორიული კუთხიდან (ჯავახეთიდან, შიდა ქართლიდან, კახეთიდანძ. მე-19 საუკუნეში კი თრიალეთში სახლდებიან თურქეთიდან დევნილი სომხური და ბერძნული მოსახლეობა. აქვე ისიც საჭიროა ითქვას, რომ როდესაც ოსმალებმა დაიპყრეს სამხრეთ საქართველო, გადასახადების გადახდის მიზნით 1595 წელს იქ ჩატარდა მოსახლეობის აღწერა. სპეციალურ დავთარში შეჰქონდათ დაბეგვრისთვის საჭირო ცნობები. 1595 წელს შედგენილმა დავთარმა ჩვენამდე სრული სახით მოაღწია და მას „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ეწოდება.

დავთრის მიხედვით, მოსახლეობის 97 პროცენტი ქრისტიანი იყო, ხოლო 95 პროცენტი — ქართველი. **„ამ პერიოდში სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირებულია მტრის გამუდმებული შემოსევების გამო. „დავთარში“ ნახსენები 1160 სოფლიდან 368 სოფელი უკაცრიელია. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო პეტრეს ლივაში (ახლანდელი ბორჯომის რაიონი) — 48 სოფლიდან 41 მოსახლეობისაგან მთლიანად დაცლილია, არც ერთი კაცი არ ცხოვრობდა ახალდაბაში, ქვიშხეთში, ყვიბისში, ლიკანში, წაღვერში, ბაკურიანში, ფაფაში, კორტანეთსა და სხვა სოფლებში“** (პროფ. ვაჟა ლორთქიფანიძეძ.

ამ პერიოდში მთელ საქართველოში და მით უმეტეს სამხრეთ საქართველოში ოსების კვალი არსად ჩანს, აქ წამლად ერთ ოსსაც კი არ უცხოვრია. შემდეგში ოსები ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე თავისი ისტორიული სამშობლოდან — ოსეთიდან ჩამოსახლდნენ საქართველოში, ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში მცირე რაოდენობით ქართლის ჩრდილოეთში, კავკასიის ქედის სამხრეთ კალთებზე. ამ პერიოდში ყაბარდოელებმა დაიპყრეს ოსეთის მთისწინა დაბლობი. ვაკე ადგილების ყაბარდოელი ბატონები როგორც ყმებს ისე ამუშავებდნენ ოსებს, ხოლო მათი შიშით კავკასიონის ქედის მიუვალ ხეობებში შეყუჟულ ოსებს თუ სადმე მოიხელთებდნენ, ყიდდნენ. უბადრუკი ცხოვრებისთვის განწირული ოსები საცხოვრებლად გადმოდიან საქართველოში — კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, მაგრამ აქ მათ მწირი მიწა და არსებობისთვის მეტად შეზღუდული პირობები დახვდათ. ამიტომ ბუნებრივი იყო ოსების ლტოლვა სამხრეთისკენ. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ მტრებთან გამუდმებულ ბრძოლაში ქართლის მოსახლეობა სულ უფრო მცირდებოდა და ოსებიც თანდათანობით იწევდნენ სამხრეთისაკენ საცხოვრებლად. სიტყვა დაოსებულის წარმოშობა სწორედ ოსების საქართველოში ჩამოსახლებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიის მიხედვით, ოსები ძირითადად საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გადმოსახლდნენ. ამავე ენციკლოპედიაში დაცული ცნობების გაანალიზების შედეგად, და ქართული წყაროს მონაცემების თანახმადაც, 1833 წელს საქართველოში 10-14 ათასი ოსი ცხოვრობდა, 1860 წელს — 19 ათასი, 1880 წელს — 52 ათასს, ხოლო 1897 წელს — 71,5 ათასი კაცი.

ამრიგად, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ოსები მასობრივად გადმოდიან საცხოვრებლად საქართველოში. ისინი ქართლის ბარის რაიონებშიც სახლდებიან და ამ მხრივ არავითარ შეზღუდვას არ განიცდიან. ოსთა კომპაქტური დასახლებები ჩნდება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ახლანდელი ქართლისა და ბორჯომის რაიონებში (მაგალითად, ბაკურიანში 1885 წელს 71 ოსი ცხოვრობდაძ.

როგორც ცნობილი ოსი მეცნიერი გ. თოგოშვილი აღნიშნავს, საქართველოში **„ოსები ცდილობდნენ ყიდვის გზითაც შეეძინათ მიწა მიწის მესაკუთრეებისგან, ხიზნად ეწყობოდნენ ან სახელმწიფოს მიწებზე სახლდებოდნენ. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ სამხრეთ ოსებს არ ეხება. XVIII საუკუნის მსგავსად, თაგაურელი ოსები კვლავ დიდად დაინტერესებულნი ჩანან საქართველოში გადმოსახლებით... XIX ს. 40-50-იანი წლებით თარიღდება თრიალეთის ოსების დასახლება“** (გ. თოგოშვილი. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წ.წ. თბ., 1969, გვ. 26ძ. ამასთან სათანადო დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ XIX საუკუნის დამლევს ოსური სოფლები კახეთშიც იქმნება. ამის შესახებ ასევე ცნობილი ოსი მეცნიერი, პროფ. ბ. კალოევი მიუთითებს. **„XIX საუკუნის განმავლობაში ოსების დიდი რაოდენობა დამკვიდრდა საქართველოს დუშეთისა და გორის რაიონებში, XX საუკუნის დასაწყისში ზედა და ქვედა კახეთის ტერიტორიაზე 30-ზე მეტი ოსური დასახლებული პუნქტი წარმოიქმნა. ეს ოსები დაფუძნდნენ თავადების მიწებზე“** (Б. Калоев. Осетини. М., 2967, с. 61ძ.

ცნობილი ოსი მეცნიერის მოსაზრებას, რომელიც სათანადო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზეა გაკეთებული, კიდევ უფრო ამტკიცებს მეტად მნიშვნელოვანი და უტყუარი შემდეგი ფაქტი: 1926-1989 წლებში ყოფილ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში ოსების რაოდენობა უმნიშვნელოდ გაიზარდა — 60 ათასიდან 65 ათასამდე (5 ათასით, ანუ 8 პროცენტითძ, ხოლო ოლქის ფარგლებს გარეთ საქართველოში კი 53 ათასიდან 100 ათასამდე (47 ათასით, ანუ 88 პროცენტითძ. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან ოსი მოსახლეობის ნაწილი საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში გადადის საცხოვრებლად. ასე რომ, ოსების მიერ საქართველოს ტერიტორიის ეთნიკური ათვისება მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა.

ვიკიპედიის მასალის ავტორი განსაკუთრებით მუქ ფერებში აღნიშნავს 1990-იან წლებში საქართველოში მცხოვრები ოსების თითქმის ნახევრის გადასახლებას ძირითადად ჩრდილოეთ ოსეთში. სამწუხაროდ, ამ გადასახლებას გარკვეულ შემთხვევებში ძალდატანების ფაქტორიც ახლდა, მაგრამ განსაკუთრებული როლი მაინც ქართული მიწებისა და ქართული კულტურის მისაკუთრების სურვილმა განაპირობა, როდესაც პრაქტიკულად დაიწყო ამ სურვილის ხორცშესხმა. რა თქმა უნდა, გადასახლებაში ეროვნული გრძნობის ამაღლებამაც გარკვეული როლი ითამაშა. სტატიის ავტორები ისე ხატავენ, თითქოს 1990-იან წლებში მხოლოდ საქართველოში ხდებოდა აღნიშნული ფაქტი, არადა მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე მოიცვა ანალოგიურმა მოვლენებმა. საკმარისია ითქვას, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მცხოვრები მილიონებით რუსი გადასახლდა რუსეთში. უფრო მეტიც: რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში (ადიღე, ყარაჩაი-ჩერქეზი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილოეთ ოსეთი — ალანია, ინგუშეთი, ჩეჩნეთი, დაღესტანიძ რუსების რაოდენობა 1989-2002 წლებში 1360 ათასიდან 995 ათასამდე შემცირდა, ანუ 365 ათასით, უშუალოდ ჩრდილოეთ ოსეთი-ალანიის რესპუბლიკაში კი — 189 ათასიდან 165 ათასამდე. რა თქმა უნდა, რუსების რაოდენობის შემცირება მარტოოდენ მიგრაციული პროცესებით არ იყო გამოწვეული, შეიძლება გარკვეულწილად მოსახლეობის ბუნებრივმა კლებამაც თავისი როლი ითამაშა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეული ათასობით რუსი გადასახლდა რუსეთის სხვა რაიონებში. შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში რუსების რაოდენობა სამხრეთ კავკასიაში 785 ათასიდან 225 ათასამდე შემცირდა;

ოსების ნაწილის საქართველოდან გადასახლების შესახებ სიმართლის გასარკვევად, შეუძლებელია არ მოვიტანოთ ერთი ადგილი ჟურნალისტების ი. კოჩიევასა და ა. მარგიევის მოსკოვში გამოცემული წიგნიდან: **„საქართველო. ეთნიკური წმენდა ოსებთან დაკავშირებით“.** წიგნი სიყალბისა და ფაქტების დამახინჯების არნახული ნიმუშია. მაგრამ, როგორც ჩანს, მათ გაეპარათ საქართველოში ოსების შესანიშნავად ცხოვრების ერთი ადგილი, ასე ვთქვათ, მაინც გაჟონა სიმართლემ. სამაგიეროდ, ისინი კრინტსაც არ ძრავენ იმ მიზეზებზე, რამაც გამოიწვია არა მარტო ოსების, არამედ ქართველების მხრიდან საცხოვრებელი ადგილების მიტოვება.

ი. კოჩიევასა და ა. მარგიევის წიგნში აღწერილია საქართველოს ბორჯომის რაიონის სოფელ მიტარბში მცხოვრები ოსის ი. კუმარიტოვის ისტორია კონფლიქტის პერიოდში. ი. კუმარიტოვი წერს: **„მთელი ჩემი დიდი ოჯახი — მე, მეუღლე, დედა, ორი ვაჟიშვილი, რძალი და შვილიშვილი — ვცხოვრობდით ერთად სოფელ მიტარბში. ყველანი საბჭოთა მეურ-**

**ოცი წელი გავიდა ჩვენი დაპირისპირების დაწყებიდან. წამოვიდა ახალი თაობები, რომლებმაც უკვე სრულიად არაფერი იციან ჩვენი წინაპრების ერთმანეთის გვერდში დგომაზე, ჭირისა და ლხინის გაზიარების, გათავისების თაობაზე, ჩვენს ერთობლივ დიდ ისტორიაზე, საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე, არაფერი იციან ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეების, ჩვენი კულტურის შესახებ. ჩვენ ერთმანეთს კი არ უნდა დავშორდეთ, არამედ კიდევ უფრო მეტად უნდა დავუახლოვდეთ. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უფრო მოგებული დარჩება ჩვენი ხალხები.**

**ნეობაში ვმუშაობდით. გვქონდა დიდი სახლი, დიდი ბოსტანი. შევისყიდეთ საშენი მასალები, ვაპირებდით ახალი, უფრო დიდი სახლის აშენებას. მეურნეობა არც თუ მცირე გვქონდა: 11 სული მსხვილი რქოსანი პირუტყვი, 25 — წვრილი, მრავალი ფრინველი და ღორი, მანქანა — „ვოლგა“. ვცხოვრობდით შეძლებულად, ბაზარში ვყიდდით ყველს, მატყლს, ყოველგვარ ფრინველს, როდესაც ცხოვრება ქართველებთან შეუძლებელი შეიქნა... გავემგზავრეთ (ჩრდილოეთ ოსეთში — ა. თ.) ხელცარიელი, დოკუმენტებიც დავკარგე.**

**ჩამოსვლისთანავე მივხვდი, რომ**

**დიდხანს ვერ გავატანდი. საქმე ისაა, რომ ვცხოვრობდი ტურბაზაში სხვის კუთხეში. ასთმით ვარ დაავადებული, ყველაზე შესაფერისი ადგილი ჩემთვის დედამიწის ზურგზე მშობლიური სოფელი მიტარბია, სადაც თავს ვგრძნობდი ადამიანად** (ხაზი ჩვენია – **ა. თ.**ძ. დავთანხმდი უკან დაბრუნებაზე... **მართალი გითხრათ, ვფიქრობდი, ბარემ დამებრუნებინა ჩემი სახლი და გამეფორმებინა იგი ქალიშვილზე, ხოლო შემდეგ უკან ჩამოვსულიყავი...**

**ზენთა ბესტაევამ ჩვენ ჩაგვიყვანა მიტარბში, იქ კი გვიცდიდა მ. სააკაშვილი ჟურნალისტებთან ერთად. წარმოთქვა სიტყვა. ჩემს სახლში ცხოვრობდა ვიღაც ქართველი. იგი მაშინვე გამოასახლეს, ბინა მთლიანად გაარემონტეს. მაშინვე მივიღე პასპორტი და სააკაშვილის ბრძანებით, როგორც გამონაკლისი, საქართველოს მოქალაქეობა. დაგვპირდნენ 5 ათას დოლარსაც, მაგრამ მივიღე ოთხი ათასი ლარი (ორი ათასი დოლარზე მეტი), ისიც ერთ თვეში. მოგვცეს აუცილებელი ავე-**

# გვაკლდა!

**ჯი, ძროხა ხბოთი... ვცდილობდი სახლის გაყიდვასაც და დავრჩი იქ დეკემბრამდე... დავბრუნდი უკან, სახლში დავტოვე ნათესავი... გამოვიზამთრე აქ, ისევ დაიწყო ძალიან დიდი სიცხეები და ისევ მომინდა მიტარბში წასვლა, რათა დამესვენა ჩემი დაავადებისაგან და მომენახულებინა სახლი. მაგრამ პასპორტი დამეკარგა ჯერ კიდევ 1991 წელს. გასულ წელს საზღვარი გადავლახე ლტოლვილის მოწმობით, ახლა იგი ჩამომართვეს, ხოლო ქართული პასპორტით საზღვარზე უკან არ გამიშვებენ“** (ТТ. Кочиева, А. Маргиев. Грузия. этническтие чистка в отношении осетин. М., 2005, с. 137-138ძ.

წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ი. კუმარიტოვი საქართველოს ბორჯომის რაიონის სოფელ მიტარბში ცხოვრობდა საკმაოდ შეძლებულად და თავს გრძნობდა ადამიანად. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ კომუნისტური მმართველობის პერიოდში ოჯახი, რომელსაც ჰყავდა 11 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 25 – წვრილი, მრავალი ფრინველი და ღორი, უმდიდრეს ოჯახად ითლებოდა. ეს არ იყო ერთეული შემთხვევა. რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა მოგვეჩვენოს საქართველოში მცხოვრები ოსები ყველაზე კარგად ცხოვრობდნენ მთელ საბჭოთა კავშირში, რასაც მოწმობს მოსკოვში გამოცემული ყოველწლიური სტატისტიკური კრებულები. ჩვენ ეს საკითხი გახილული გვაქვს წიგნში: **„ოსები საქართველოში: მითი და რეალობა“** და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ერთ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. საქართველოს პრეზიდენტის პროგრამა ითვალისწინებდა ოსების უკან, საქართველოში დაბრუნებას და მათთვის შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნას და არა მათ მიერ ფულის კეთებას – სახელმწიფოს მიერ მოწყობილი სახლ-კარის გაყიდვას, თუმცა ეს უფლება მათთვის არავის ჩამოურთმევია.

ოცი წელი გავიდა ჩვენი დაპირისპირების დაწყებიდან. წამოვიდა ახალი თაობები, რომლებმაც უკვე სრულიად არაფერი იციან ჩვენი წინაპრების ერთმანეთის გვერდში დგომაზე, ჭირისა და ლხინის გაზიარების, გათავისების თაობაზე, ჩვენს ერთობლივ დიდ ისტორიაზე, საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე, არაფერი იციან ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეების, ჩვენი კულტურის შესახებ. ჩვენ ერთმანეთს კი არ უნდა დავშორდეთ, არამედ კიდევ უფრო მეტად უნდა დავუახლოვდეთ. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უფრო მოგებული დარჩება ჩვენი ხალხები. უნდა გამოვტყდე – ამ პრობლემებზე მუშაობის დაწყებისას ნამდვილად არ ვიცოდი, თუ ოსი ხალხის უპირველესი პოეტი კოსტა ხეთაგუროვი ასეთი დიდი შემოქმედი და ყოველმხრივ შემკული პიროვნება იყო. როდესაც მის შემოქმედებას გავეცანი, ჩემ წინ წარმოსდგა თავისი ქვეყნის დიდი მოჭირნახულე ადამიანი, დიდი პოეტი, მხატვარი, შესანიშნავი პუბლიცისტი – მოკლედ დიდი კლასიკოსი, რამაც ოსი ხალხის მიმართ კიდევ უფრო მეტი პატივისცემით განმაწყო.

კარგად მესმის, რომ ძნელია მეგობრო-

> **ქართველმა და ოსმა ხალხებმა ერთმანეთთან დაპირისპირებით კი არა, ურთიერთთანამშრომლობით, ძმურად უნდა ვიცხოვროთ, შევრიგდეთ, წელში გავიმართოთ და ერთად და უკეთესად მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რათა „ბუნების უმშვენიერესი აქტი“ – ბავშვის დაბადება, რაც ამჟამად ქართველებშიც და ოსებშიც საგანგაშოდაა შემცირებული, გამრავლდეს და ქართველ და ოს ხალხებს შორის ოდითგან მოყოლებული უმშვენიერესი გრძნობა – სიყვარული და მეგობრობა, რისთვისაც ღირს ადამიანის სიცოცხლე, მარადიულად გაგრძელდეს.**

ბაზე, ძმობასა და სიყვარულზე საუბარი, თუ სიმართლე ბოლომდე არ ითქვა, თუ ჩვენი გრძნობა-გონება სიმართლის ძალამ არ დაიპყრო და სიმართლემ არ იზეიმა. არც გამოგვივა. ორი სიმართლე არ არსებობს. ის უამრავი საშინელება, რომლებიც ამ ოცი წლის განმავლობაში ერთმანეთს მივაყენეთ და თავს დაგვატყდა, საბედისწერო 2008 წელს ომით დასრულდა. და თუ ემოციებს ჩამოვიცილებთ, თუ მხოლოდ საკუთარი ეროვნული სამრეკლოდან არ დავიწყებთ ზარების რეკვას ვნახავთ, რომ მართალი ჩვენს ძმედებებში ხან ქართული მხარე იყო და ხან – ოსური. მაგრამ მთავარი სიმართლე ისაა, რომ ყოვლად უსაფუძვლოდ, აბსურდული მტკიცებების საფუძველზე გამოაცხადა ოსურმა მხარემ, რუსეთის კარნახითა და დახმარებით, საქართველოს ტერიტორიაზე ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა და ფაქტობრივად ქართული სახელმწიფო „ყოფნა-არყოფნის“ ზღვარზე დააყენა. ოსი ხალხის დიდი შვილი, მსოფლიო სახელის მქონე დიდი მეცნიერი ვასილ აბაევი, და არა მარტო ის, შესანიშნავად გრძნობდა, თუ რა მოყვებოდა უმეტესად სხვისი და თანაც მეტად საშიში პოლიტიკის თამაშს და აფრთხილებდა თავის ხალხს მოსალოდნელი ტრაგედიის შესახებ. მაგრამ დიდ პოლიტიკას ძნელია გაუმკლავდე, თუ ხელისუფლებამ და მთელმა ხალხმა ერთიანი სულისკვეთებით არ დაიცვა საკუთარი სასიცოცხლო ინტერესები.

მე, როგორც მეცნიერს, კარგად მაქვს შესწავლილი ქართველთა და ოსთა მრავალმხრივი ურთიერთობები, უკანასკნელ წლებში ჩვენს შორის არსებული უმწვავესი დეტალებიც კი, მაგრამ დადგა დრო, თუ დაგვიანებული არ არის, ვიფიქროთ კარგზეც. ჩვენს მიერ ზემოთ გაანალიზებული სტატია „თრიალეთის ოსეთი“ კი კარგს არაფერს მოგვიტანს. ვიცი, დღეს ბევრი წერს ჩვენს სასარგებლოდ და ბევრიც – ოსების სასარგებლოდ, მაგრამ ეს ძაბავს ურთიერთობებს ქართველებსა და ოსებს შორის. მთავარია, ითქვას სიმართლე, მთავარი მაინც სიმართლის ქმნაა, ან როგორც რუსთველი იტყოდა: „ქმნა მართლისა სიმართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. სამართლიანობის დამკვიდრების აუცილებლობაზე ხომ ძველი ქართული სიბრძნეც ქადაგებს: „სწორად სჯიდი, მტერთა და მოყვარეთა სჯიდე რაი“.

ოსი ხალხის დიდმა შვილმა კოსტა ხეთაგუროვმა ბავშვის დაბადებას „ბუნების უმშვენიერესი აქტი“ უწოდა. ქართველმა და ოსმა ხალხებმა ერთმანეთთან დაპირისპირებით კი არა, ურთიერთთანამშრომლობით, ძმურად უნდა ვიცხოვროთ, შევრიგდეთ, წელში გავიმართოთ და ერთად და უკეთესად მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რათა „ბუნების უმშვენიერესი აქტი“ – ბავშვის დაბადება, რაც ამჟამად ქართველებშიც და ოსებშიც საგანგაშოდაა შემცირებული, გამრავლდეს და ქართველ და ოს ხალხებს შორის ოდითგან მოყოლებული უმშვენიერესი გრძნობა – სიყვარული და მეგობრობა, რისთვისაც ღირს ადამიანის სიცოცხლე, მარადიულად გაგრძელდეს.



**ანზორ თოთაძე**

## ◎ უცხოური პრესიდან

# „ფორბსმა“, თუ რეიტინგში რუსეთის ამაღლება გსურთ, კახა ბენდუქიძე მოიწვიეთო

**Forbes-ის შეფასებით, „ბიზნესის კეთების სიმარტივის (doing business) რეიტინგში რუსეთის ამაღლება კახა ბენდუქიძის მეშვეობითაა შესაძლებელი“.**

როგორც ეკონომიკური მიმომხილველი ბორის გროზოვსკი წერს, „რუსეთის პრემიერი ვლადიმერ პუტინი მსგავსი ინიციატივით არა 2012 წლის დასაწყისში, არამედ 8 წლის წინათ უნდა გამოსულიყო, ყველა მომხმარებელი და ეკონომისტი უბრალოდ ბედნიერი იქნებოდა“.

**„მაგრამ პუტინი დიდხანს ფიქრობდა. ფორუმზე „Диалог Тройки“ მან განაცხადა, რომ რამდენიმე წელიწადში რუსეთმა მსოფლიო ბანკის რეიტინგში ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით 120-დან 20-ე ადგილზე უნდა გადაინაცვლოს“. პუტინს უნდა, რუსეთი გერმანიისა და იაპონიის გვერდით დაინახოს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ამ მაჩვენებლით რეკორდსმენი საქართველოა, ჩვენი სამხედრო-პოლიტიკური მოწინააღმდეგე. მაგრამ დარწმუნებული იყავით, მსოფლიო ბანკი სტატისტიკით მანიპულირებას არ დაიწყებს, მაშინაც კი, თუ პუტინი იტყვის, რომ მთელ მთავრობას დახვრეტს, თუ რუსეთის პოზიცია ამ რეიტინგში 2018 წლისთვის მე-20 ადგილზე დაბლა იქნება. საქართველოს მაგალითი ამტკიცებს, რომ შეუძლებელი არაფერია. 2004 წელს მას 112-ე ადგილი ეკავა, 2009 წლის მონაცემებით მე-11 პოზიციაზე იყო, შემდეგ კი ოდნავ უკან დაიწია. მაშ ასე, რა არის საჭირო იმისთვის, რომ რეიტინგში 100 ადგილით წინ წაიწიო? უპირველესად, დაითანხმო კახა ბენდუქიძე, რუსეთში დაბრუნდეს და პირველ ვიცე-პრემიერად დავნიშნოთ რეფორმების დარგში, ან, უკეთესია, პრემიერ-მინისტრად. რა უნდა გაკეთდეს, საერთო ჯამში, ნათელია, თუმცა რუსეთში დღესდღეობით რადიკალური დერეგულაციის ქომაგები არ ჩანან. მიხაილ პროხოროვს ხომ ვერ დავნიშნავთ რეფორმების მინისტრად?! არც გენადი ტიმჩენკოს – მისი ნიჭი ეჭვის საფუძველს არ იწვევს, თუმცა ის სხვა სფეროში ძევს. შეიძლება ლიბერალ-რეფორმატორის სხვა ვარსკვლავის იმპორტირება. ეს იქნება ჰიდინკის გასტროლებივით, აქ კი მარტო ტექნიკით შორს ვერ წახვალ – ადგილობრივი სპეციფიკის ცოდნაც აუცილებელია. მხოლოდ ბენდუქიძის მოწვევაც კი, პუტინის იმ მოსაზრების საპირისპიროდ, რომ „ეთნიკურ ქართველებს“ თავად ეროვნება უბიძგებთ საპროტესტო აქტივობისკენ, დიდი გამარჯვება იქნებოდა“,** – წერს გროზოვსკი.

მისივე შეფასებით, **„ბიზნეს-კლიმატი ეკონომიკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, თუმცა მნიშვნელოვანია კლიმატი და არა ადგილი რეიტინგში, ხოლო კლიმატის შესაცვლელად საჭიროა ფიქრი ყოველდღიურად და არა 10 წელიწადში ერთხელ“.**

**„საქართველოს დაწევა რეიტინგში უფრო ძნელია, ვიდრე პორტუგალიისა – ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობით“,** – დასძენს **Forbes**.

## ◎ ინფორმაცია

### უძლიერესი ყინვის გამო შავი ზღვა გაიყინა

**უძლიერესი ყინვის გამო შავი ზღვა გაიყინა – სევასტოპოლი, ქერჩი, ოდესა ეს არასრული ჩამონათვალია იმ პორტებისა, სადაც სანაპიროსთან წყალი მთლიანად გაყინულია. ევპატორიაში ყინულმა წყლის 2 კვადრატული კილომეტრის ფართობი დაფარა.**



**მეტეოროლოგები აღნიშნავენ, რომ ასეთი ანომალია ისტორიას უკვე 30 წელია არ ახსოვს. ბოლოს შავი ზღვა ოდესის სანაპიროსთან 1977 წელს გაიყინა.**

**ძლიერი ყინვის გამო უკრაინის ყველა პორტი 15 თებერვლამდე დახურულია. ასევე დახურულია რუმინეთის ერთ-ერთი უდიდესი პორტი კონსტანცა, სადაც შავი ზღვის ნაპირიდან 100 მეტრის მანძილზეა ზღვა გაყინული. ყინულის სისქე აქ თითქმის 40 სანტიმეტრს აღწევს.**

### თბილისის ზღვის ნაწილი გაიყინა

**ვარკეთილის მხარეს თბილისის ზღვა გაიყინა. როგორც „ინტერპრესნიუსის„ კორესპონდენტი ზღვის მიმდებარე ტერიტორიიდან იუწყება, ყინულის სისქე, დაახლოებით, 3-4 სანტიმეტრია.**

**ისანი-სამგორის რაიონის სამაშველო სამსახური აღნიშნულ ტერიტორიაზე პატრულირებს და მოქალაქეებს უსაფრთხოების მიზნით, ყინულზე გადასვლის საშუალებას არ აძლევს.**

**როგორც ისანი-სამგორის რაიონის სამაშველო სამსახურის წარმომადგენელმა ვალერი ჟორჟოლიანმა განაცხადა, თბილისის ზღვაზე წყალი გუშინწინ გაიყინა.**

**ამასთან, ერთ-ერთმა მოქალაქემ ყინულზე დადგომა სცადა, ყინული ჩატყდა და წყალში ჩავარდა. ის მაშველებმა ამოიყვანეს.**

**ასევე, ყინული ჩაუტყდათ მიმდებარე ტერიტორიის კერძო დასახლებაში მცხოვრებ მწყემსებს, წყალში ძროხები ჩაცვივდნენ. ძროხების გადარჩენაც სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებს მოუწიათ.**

### ბოლო ორი დღის განმავლობაში თბილისის მხოლოდ ერთ საავადმყოფოში მოტეხილობებით 61 მოქალაქე შეიყვანეს

**ისინი თოვლსა და ყინულზე წაქცევის გამო დაშავდნენ.**

**რამდენიმე მოქალაქის მდგომარეობა უკიდურესად რთულია. მოქალაქეთა უმეტესობას კიდურების მოტეხილობა აღენიშნებოდა. რამდენიმე მოქალაქის ტრამვა კი იმდენად რთული იყო, რომ მათ ოპერაციების გაკეთება დასჭირდა.**

**დაშავებულები არიან ასევე მოზარდები, რომლებიც იაშვილის სახელობის საავადმყოფოში არიან მოთავსებულნი. ბავშვებს ძირითადად დაჟეჟილობები აღენიშნებოდათ.**

### ყინვისა და დიდთოვლობის გამო ევროპაში გარდაცვლილთა რიცხვი 360-მდე გაიზარდა



**გაუსაძლისი ყინვისა და დიდთოვლობის გამო ევროპაში გარდაცვლილთა რიცხვი კიდევ გაიზარდა. ბოლო მონაცემებით ორკვირიანმა უამინდობამ ევროპის მასშტაბით 360 ადამიანი იმსხვერპლა.**

**უკრაინის გარდა 30-გრადუსიანი ყინვებია გერმანიაში, პოლონეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში. პოლონეთში ყინვით გარდაცვლილთა რიცხვმა 62 მიაღწია. ბოსნიაში თოვლის საფარმა 2 მეტრს გადააჭარბა. სტიქიის გამო საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული სერბეთშიც.**

ჯი-ეიჩ-ენი, ინტერპრესი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სამხრეთი ოსეთის ელჩი პრეზიდენტობისთვის გაიწვიეს

სამხრეთ ოსეთში განმეორებითი პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც დანიშნულია მარტისთვის, გვპირდება, იყოს არანაკლებ საინტერესო, ვიდრე შარშანდელი. 6 თებერვალს პრეზიდენტის პოსტზე ერთ-ერთმა პოტენციურმა კანდიდატმა, სამხრეთი ოსეთის საგანგებო სიტუაციის მინისტრმა ანატოლი ბიბილოვმა, რომელიც მონაწილეობდა წინა არჩევნებში, უარი თქვა წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობაზე, მეორე ექსკანდიდატმა – ალა ჯიოევამ დაადასტურა თავისი განზრახვა, მოაწყოს 10 თებერვალს თავისი ინაუგურაცია. ჩვენმა გაზეთმა გამოარკვია, თუ ვინ მიიღებს ახალ კამპანიაში „კრემლის კანდიდატის“ წოდებას და სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ოპოზიციის ლიდერის ახალმა დაპირისპირებამ ხელისუფლებასთან.

სამხრეთი ოსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ხელმძღვანელი ანატოლი ბიბილოვი რამდენიმე უკანასკნელი თვის განმავლობაში „კრემლის კანდიდატად“ ითვლებოდა, ვინაიდან იგი დაასახელა პარტია „ედინსტვომ“ („ედინინაია როსიას“ სამხრეთ ოსეთურმა ნაწილმაძ, მას მხარი დაუჭირეს არა მხოლოდ „ედინაია როსიას“ წარმომადგენლებმა, არამედ პრეზიდენტმა მედვედევმაც, რომელიც პირადად შეხვდა ბატონ ბიბილოვს ვლადიკავკაზში. მაგრამ მან გამარჯვება ვერ შეძლო ვერც პირველ ტურში, ვერც მეორეში. მას გაუსწრო ოპოზიციონერმა კანდიდატმა ალა ჯიოევამ.

ქალბატონი ჯიოევას გამარჯვება მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთისთვისაც და სამხრეთოსეთელებისთვისაც: მას ბრალი დასდეს ამომრჩეველთა მოსყიდვაში და ნარინჯისფერი გადატრიალების მცდელობაში. სამხრეთი ოსეთის უმაღლესმა სასამართლომ არჩევნების შედეგები ბათილად მიიჩნია. პარლამენტმა ახალი არჩევნები 25 მარტისთვის დანიშნა.

ცხინვალში ქუჩების ხანგრძლივი პროტესტების შემდეგ ხელისუფლებამ მოახერხა, მიეღწია კომპრომისისთვის ალა ჯიოევასთან: იგი დაპირდა ხელისუფლებას, რომ გაიყვანდა ხალხს მოედნიდან, თუ პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი, გენერალური პროკურორი თეიმურაზ ხუგაევი, გენერალური პროკურორის მოადგილე ელდარ კოკოევი და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ატამაზ ბიჩენოვი იქნებოდნენ გადაყენებული.

თავად ალა ჯიოევას აზრით, შეთანხმება შესრულდა მხოლოდ ნაწილობრივ – ედუარდ კოკოითის გადადგომით. გენერალური პროკურორის მოადგილე გადაიყვანეს სხვა სამუშაოზე, შეთანხმების დანარჩენი ფიგურანტების გადაყენებაზე პარლამენტმა უარი განაცხადა. ამიტომ ექსკანდიდატმა შეთანხმება მიიჩნია ბათილად და თავისი ინაუგურაცია 10 თებერვლისთვის დანიშნა.



როგორც 6 თებერვალს ჩვენს გაზეთთან საუბარში ალა ჯიოევამ აღნიშნა, არანაირ მოლაპარაკებაზე ხელისუფლების წარმომადგენელთან ის არ მიდის, ამიტომ საბაბი, უარი თქვას ინაუგურაციაზე, მას არ გააჩნია. „ჩვენ განზრახული გვაქვს, წყნარად და მშვიდობიანად მოვაწყოთ ინაუგურაცია, ხოლო რა იქნება შემდეგ და როგორი იქნება ჩვენი ხელისუფლების ლეგიტიმურობის ხარისხი, ჩვენ ვისაუბრებთ მოგვიანებით“, – განაცხადა მან და გამოთქვა რწმენა, რომ მისი ლეგიტიმურობა დაადასტურა შარშან ნოემბერში 17 ათასმა ამომრჩეველმა.

სხვათა შორის, ალა ჯიოევას ყოფილი მომხრეები გამოთქვამენ შიშს, რომ ინაუგურაცია შეიძლება სამხრეთ ოსეთს „ძვირად დაუჯდეს“. ოპოზიციონერ ვლადიმირ ძელეხსაევის სიტყვებით, „ეს სამხრეთ ოსეთს მიიყვანს ახალ დაპირისპირებამდე“. „ყველამ ნახა, თუ რამდენად სახიფათო იყო სიტუაცია ნოემბერში, – განაცხადა ჩვენთან საუბარში ძელეხსაევმა. – ყველაფერი სისხლისღვრისკენ მიდიოდა. ერთადერთი შანსი ამის თავიდან აცილებისა იყო ახალი არჩევნების მოწყობა“. ერთ-ერთი კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი იური ძუწოითი, შარშან დეკემბერში ალა ჯიოევას რომ უჭერდა მხარს, თავის მხრივ მიიჩნევს, რომ ინაუგურაციას აზრი აქვს მხოლოდ ერთ შემთხვევაში: „თუ მას მოჰყვება უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება“. წინააღმდეგ შემთხვევაში, დეპუტატის აზრით, „კრიზისი გაძლიერდება“.

შარშანდელი წინასაარჩევნო როლის ყველა მონაწილისადმი მოწოდებით გამოვიდა საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ხელმძღვანელი ანატოლი ბიბილოვი. მას მიაჩნია, რომ ექსკანდიდატებმა აღარ უნდა წამოაყენონ ხელახლა თავიანთი კანდიდატურები. ცხინვალში გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ „თავადაც არ აქვს განზრახული, დაასახელოს თავისი კანდიდატურა“, რათა „მისცეს მოქალაქეებს შესაძლებლობა, გვერდი აუარონ დაპირისპირებას და მშვიდ ვითარებაში გააკეთონ თავიანთი არჩევანი“.

ბიბილოვის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ის ჯერ კიდევ დეკემბერში იყო განწყობილი იმისთვის, რომ უარი ეთქვა ახალ კამპანიაში მონაწილეობაზე, მაგრამ მოსკოვი თხოვდა მას, თავი შეეკავებინა ოფიციალური განცხადების გაკეთებაზე მანამ, სანამ არ განისაზღვრებოდა მემკვიდრის კანდიდატურა.

მოსკოვის ახალი ფავორიტი შეიძლება გახდეს სამხრეთი ოსეთის ელჩი რუსეთის ფედერაციაში დმიტრი მედოევი, რომელიც ცნობილია კრემლისადმი და რუსეთის სხვა ჩინოვნიკებისადმი აბსოლუტური ლოიალობით. თავად ელჩმა ორშაბათს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ არ გამორიცხავს თავის მონაწილეობას საპრეზიდენტო კამპანიაში, თუ მას ასეთი თხოვნით მიმართავს მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფი. 7 თებერვლისთვის სამხრეთ ოსეთში კანდიდატების დასახელებასთან დაკავშირებით უკვე დარეგისტრირებულია 8 საინიციატივო ჯგუფი. ყველაზე კონკურენტულ კანდიდატებად უკვე მიიჩნევა პარლამენტის ორი ვიცე-სპიკერი – იური ძუწოითი და მირა ცხოვრებოვა. სხვათა შორის, უკვე ამ კვირაში ამ უკანასკნელს შეუერთდება დმიტრი მედოევიც. როგორც ჩვენი გაზეთისთვის გახდა ცნობილი, საინიციატივო ჯგუფი პრეზიდენტობის კანდიდატად მისი დასახელების შესახებ უნდა შეკრებილიყო ცხინვალში უკვე 7 თებერვალს.

**Коммерсантъ**

## დედამიწის ზურგზე



**რუსეთმა გაეროში დასავლეთი გაალიზიანა და სირიაში ლავროვი გაგზავნა მედვედევისგან „საიდუმლო“ გზავნილით**

**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი და საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი ფრადკოვი სამშაბათს ჩავიდნენ დამასკოში პრეზიდენტ ასადთან მოლაპარაკებისთვის. ამერიკის შეერთებულ შტატებს იმედი აქვს, რომ მას დაარწმუნებენ, გადასცეს ხელისუფლება და წავიდეს, თუმცა რუსეთმა ამ დღეებში მისი რეჟიმი დაიცვა კიდეც გაეროს უშიშროების საბჭოში. დასავლეთმა ის მკაცრად გააკრიტიკა, ლავროვმა კი მოკლე შეგონება გააკეთა: „უზრდელი ისტერიკააო“.**

* * *

**„კოსტა კონკორდიას“ კაპიტანის ციხეში 2697 წლით ჩასმა გადაწყვიტეს**

**ორშაბათს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე პროკურატურამ დააყენა წინადადება, მისცენ ფრანჩისკო სკეტინოს 15 წელი გაუფრთხილებლობით მკვლელობის გამო, 10 წელი ლაინერის დაღუპვისა და 8-8 წელი თითოეული დაღუპულის და უგზო-უკვლოდ დაკარგული მგზავრის გამო, რომლებიც მან ბედის ანაბარა მიატოვა.**



* * *

**ენტვ-ს გადაცემამ მინსკი გაამხიარულა: ნორვეგიელი ტერორისტი ბრეივიკი იყო ბელარუსის აგენტი – „ვიკინგი“**

**ენტვ-ს არხზე გაჟღერებული „საგენტურო“ ვერსიის ავტორი გახდა ვინმე „ბელარუსი პოლიტიკოსი“ მიხაილ რეშეტნიკოვი. სამშობლოში მას სერიოზულად არ მიიჩნევენ. მინსკში გაოცებული არიან, რისთვის დასჭირდათ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში ტერორისტული აქტები ნორვეგიაში და მიაჩნიათ, რომ მიუხედავად დროებითი შერიგებისა, მოსკოვი აგრძელებს საინფორმაციო ომს ლუკაშენკოს წინააღმდეგ.**




* * *

**ლონდონში გირაოთი ათავისუფლებენ ცნობილ მძადაგებელ-ისლამისტს, ბინ-ლადენის თანამებრძოლს**

**ბრიტანეთის მთავრობა მიიჩნევს, რომ ეს შეიძლება იყოს სარისკო ეროვნული უშიშროების თვალსაზრისით, მაგრამ საიმიგრაციო აპელაციების კომისიამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების გაუქმება იორდანიაში მისი ექსტრადაციის შესახებ იორდანიაში მქადაგებლის პატიმრობაში ყოფნას ხდის უსაფუძვლოდ.**



## ხედვა ოკეანის გაღმიდან

# დეივიდ სატერი: რუსეთი საქართველოს ზიდვას ვეღარ შეძლებს...

**ობამა-სააკაშვილის შეხვედრა ყურადღების მიღმა დარჩენილი, ერთი მდოვრედ მიმდინარე მეორეხარისხოვანი მოვლენის ფონზე წარიმართა. ცნობილია, რომ ობამას ადმინისტრაცია, ისევე როგორც მისი წინამორბედების, მათ შორის, ჯორჯ ბუშის, 1974 წელს კონგრესის მიერ მიღებული „ჯექსონ-ვენიკის შესწორების“ გაუქმებას დიდი ხანია ემხრობა.** შეგახსენებთ, რომ ეს შესწორება, რომელიც ამერიკის ორი კონგრესმენის ჰენრი ჯექსონისა და ჩარლზ ვენიკის ინიციატივით შემოიღეს, აშშ-ს სავაჭრო თანამშრომლობასა და ამ ვაჭრობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას იმ ქვეყნებს უკრძალავს, სადაც ადამიანის თავისუფალი გადაადგილების, ემიგრაციისა (მაშინ ეს ებრაელების ემიგრაციას ეხებოდაძ და საბაზრო ეკონომიკის პრინციპები ირღვევა. როგორც წესი, აქ სოცბანაკის ქვეყნები იგულისხმებოდა, მათ შორის, უპირველესად – რუსეთი. 2000 წელს კონგრესმა ეს აკრძალვა ყირგიზეთსა და საქართველოს მოუხსნა. მიზეზი: ეს ორი ქვეყნა პროექტ „აბრეშუმის გზაში“ აქტიურად იყო ჩართული. ამას წინათ ყოფილმა საბჭოელმა, ამჟამად ამერიკის მოქალაქემ და მოსკოვში ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ედუარდ ლოზანსკიმ და სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილმა თანამშრომელმა ენტონი სალვიამ, მიუხედავად იმისა, რომ ობამამ კონგრესს წინა წლის ნოემბერში ამ შესწორების გაუქმება სთხოვა, ქვეყნის პრეზიდენტს ფედერალურ სასამართლოში უჩივლეს და მას კონგრესის გადაწყვეტილების მიღებამდე „ჯექსონ-ვენიკის“ შესწორების გაუქმება მოსთხოვეს. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მომჩივანთა სარჩელი. თუმცა ზემოხსენებული შესწორება მაინც დიდი ხანია მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, რადგანაც საბჭოთა კავშირის დანგრევისთანავე, ამერიკამ ჯექსონ-ვენიკის შესწორებისგან გამონაკლისი პირველად სწორედ რუსეთს გაუკეთა. ანუ რუსეთს ამერიკასთან უკვე დიდი ხანია აქვს კარგი კი არა, ძალიან კარგი სავაჭრო ურთიერთობა და ეს ის სფეროა, რომელსაც სულაც არ სჭირდება „პერეგრუზკა“ ანდა განსაკუთრებული პატრონატი. იგი ისედაც მშვენივრად ვითარდება.

ობამა-სააკაშვილის შეხვედრის სავარაუდო შედეგების შესახებ რამდენიმე კითხვით მოსკოვში გაზეთის Financial Times ყოფილ კორესპონდენტს, ჰადსონის ინსტიტუტის თანამშრომელს **დევიდ სატერს** მივმართეთ.



ამას წინათ მან გამოსცა ახალი წიგნი სახელწოდებით **„ეს მოხდა დიდი ხნის წინათ, მაგრამ არასოდეს მომხდარა** (რუსეთი და კომუნისტური წარსულიძ“.

**– როგორ ფიქრობთ, ობამა-სააკაშვილის შეხვედრაზე საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ უფრო სწორხაზოვანი განცხადებები რატომ არ გაჟღერდა?**

– მე ეჭვიც არ მეპარება, რომ ერთმანეთთან ამ თემაზე ისაუბრეს, მაგრამ სხვა საქმეა, ამ საუბარს რა მიმართულება მიეცა. რასაკვირველია, არ გამოვრიცხავ, რომ ამ შეხვედრის შესახებ ყველაფერი არ ვიცით. ცხადია, რომ ობამას ადმინისტრაციას სააკაშვილთან დაახლოება უნდა. არადა ადრე ეს ადმინისტრაცია არც ისე დიდი სურვილითა და ენთუზიაზმით ახმაურებდა იმას, რომ ადრე თუ გვიან საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება. როგორც ჩანს, არსებულ პოლიტიკურ ატმოსფეროში რაღაც აშკარად იცვლება.

**– პრეზიდენტების შეხვედრაზე სასაუბრო იყო სავაჭრო, თავდაცვითი და სხვა თემები, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მხოლოდ ჰილარი კლინტონისგან ვეღირსეთ ტერმინ „ოკუპაციის“ ხსენებას.**

– ასეა. ამერიკას ისევ არ უნდა, რომ რუსეთი გაალიზიანოს. საქართველოს დამოკიდებულება ხომ ისევ ამერიკის რუსეთისადმი დამოკიდებულებით განისაზღვრება. ფაქტია, რომ ამ შეხვედრაზე სიტყვა „ოკუპაცია“ რუსეთის რეაქციას გამოიწვევდა და რაც უნდა დიდი სიმპათია იყოს საქართველოს მიმართ, რუსეთის გაღიზიანებას ყველა მოერიდებოდა. მაგრამ თუ აშშ-ის არჩევნებში რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს, ნატოში გაწევრების თქვენი შანსები ერთი-ორად გაიზრდება. და ამ საკითხს ნიუანსები გადაწყვეტს და არა კარდინალური ცვლილებები. რაც შეეხება „პერეგრუზკის“ არსს: პრინციპში იგი იმისთვის შეიქმნა, რომ რუსეთს ავღანეთის საკითხში ამერიკასთან ეთანამშრომლა.

**– და რაში გამოხატა ეს თანამშრომლობა?**

– ხელის არშეშლაში. ანუ ესაა თანამშრომლობის რუსული ტიპი: პრობლემებს არ გიქმნით, წყნარად ვართ და მადლობელი იყავითო.

**– ავღანეთიდან რუსეთში ნარკოტიკების ისეთი ნაკადი მიდის, რომ რუსეთი მადლობელი უნდა იყოს...**

– გეთანხმებით. ცხადია ავღანეთი მხოლოდ ნარკოტიკების გამო არაა საშიში.

**– როგორ ფიქრობთ, ქვეყნის სათავეში რესუბლიკელების პარტია რომ მოსულიყო, საქართველოს ნატოსკენ ინტეგრაციის საფეხურები უფრო ეფექტიანი იქნებოდა?**

– ვფიქრობ, იქნებოდა. მაგრამ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ დღევანდელი სიტუაცია და ობამას ინიციატივა „პერეგრუზკის“ თაობაზე არის ობამას რეაქცია ბუშის „არაკომპეტენტურ“ პოლიტიკაზე. იმის თქმა მინდა, რომ „პერეგრუზკით“ ობამამ უფრო ბუშს გასცა პასუხი, ვიდრე ეს გააზრებულ პოლიტიკად ჰქონდა ჩამოყალიბებული. ობამას რუსეთის გულის მოგება უნდოდა. ამგვარი რამ რესპუბლიკელების დროს არ მოხდებოდა.

**– თქვენც ფიქრობთ, რომ ბუშის პოლიტიკა არაკომპეტენტური იყო?**

– არა, მე ასე არ ვფიქრობ. ასე, უბრალოდ, ობამას ადმინისტრაცია ფიქრობს. ობამა ფიქრობს, რომ ბუშმა რუსეთთან ამერიკის კარგი დამოკიდებულება გააფუჭა.

**– ანუ რახან ბუში, ასე ვთქვათ, პროქართული იყო, ობამა ამისგან განმანძილებას შეეცადა?**

– „პერეგრუზკის“ პოლიტიკა უფრო მეტად გამოხატავს პოლიტიკას რუსეთის მიმართ, ვიდრე საქართველოს მიმართ. ობამას უნდოდა რუსეთისადმი უკეთესი დამოკიდებულების ატმოსფეროს შექმნა იმ პირობებში, როცა რუსების ქცევა უცვლელი დარჩებოდა.

**– საერთაშორისო არენაზე დასავლეთს ირანთან დამოკიდებულება სულ უფრო და უფრო ეძაბება. საქართველოს ირანთან უვიზო რეჟიმი აქვს. როგორ ფიქრობთ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება საქართველო თუ ეს დაპირისპირება გამწვავდა?**

– იმედი მაქვს, რომ ამერიკასაც და საქართველოსაც ეს საკითხები ორმხრივად უკვე აქვთ განხილული. არა მგონია, რომ კონფლიქტის შემთხვევაში ეს საქართველოს ავტომატურ ჩართვას გულისხმობდეს.

**– რუსეთში ახლახანს ანტიპუტინური დემონსტრაციების აგორების ტალღაზე გაჩნდა იმის იმედი, რომ ამ ქვეყანაში პუტინი ისევ ველარ გახდება პრეზიდენტი. დემოკრატიული ძალების გამარჯვების შემთხვევაში, როგორ ფიქრობთ, საქართველოს მიმართ როგორი პოლიტიკა ჩამოყალიბდება?**

– მიჭირს ამის პროგნოზირება, იქნება თუ არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი აქტიური განხილვის საგანი. ცხადია, რომ საქართველოს წინააღმდეგ ახალ აგრესიამდე საქმე არ მივა და დემოკრატები სხვა ქვეყნის დაპყრობას შიდა პრობლემების მოსაგვარებლად არ გამოიყენებენ. თუმცა ისიც უნდა გაიხსენოთ, რომ რუსეთში 2008 – ის აგვისტოს ომი, ანუ საქართველოს ოკუპაცია ძალიან პოპულარული იყო. იმედია, 4 წლის შემდეგ სიტუაცია რუსეთშიც შეიცვალა. თანაც ახლა საქართველოს დამოუკიდებლად მოქმედების უნარი უფრო მეტად აქვს, ვიდრე ადრე. თქვენი ქვეყანა არაა დამოკიდებული რუსეთზე. აშკარაა, რომ რუსეთს საქართველოს ზიდვა ძალიან გაუჭირდება, უფრო სწორად, ამას ველარ შეძლებს.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**

ფოლკლორული რემინისცენცია

# ასთავა ბაყბაყი, არამხუტუ და ჯუჯები

**იქ, სადაც ერთ-ერთი ქვეყნის უდიდეს მდინარეს მისი უდიდესი შენაკადთაგანი ერთვის, მიდამოს ორი ტყუპისცალი მთა გადაჰყურებს. იმ ორი მდინარის წყალგამყოფად კიდევ ერთი მთა დგას, უფრო დაბალი, მაგრამ სალი კლდეებით დარახტული და გაუვალი ტყეებით ჩანაბდული. ამ მთის კალთებზე კი ჯუჯები ცხოვრობდნენ. კაციშვილმა არ იცის, რა ერქვა იმ დიდ მდინარეს და მის შენაკადს, ან როგორ ეძახდნენ იმ მთებს, მაგრამ თხრობისთვის საჭიროა და მოდით, ჩვენ თვითონ დავარქვათ სახელები: იმ დიდ მდინარეს, რომელსაც მეორე უერთდება, „იგრი" დავარქვათ, რადგან ასე ეძახდნენ უძველესი კოლხები წყლის ღმერთს; შენაკადს კი,— „ნამგალა", რადგან ამ მდინარის ხეობას ნამგლის მოყვანილობა ჰქონდა; უფრო დაბალ, კლდოვან მთას — „გურიში" დავუძახოთ, რადგან გური გულია და ეგ არის, ხოლო იმ მთას, რომელიც მდინარის მარჯვენა ნაპირზე იდგა, — „ხაჩქი", რადგან სახაჩქ, სათოხარ ადგილს ჰგავდა აქაურობა; იმ მთას კი, რომელიც მარცხენა ნაპირზე იდგა — „კივალა", რადგან სწორედ იქიდან გაისმა პირველად თავისუფლების კივილი, შეძახილი, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში.**

ჰოდა, იმ უხსოვარ დროში, როდესაც ჯერ კიდევ სახელი არ ერქვათ ამ მდინარეებსა და მთებს, მაშინ მომხდარა ეს ამბავი, თურმე!

როგორც უკვე გითხარით, „გურიშის" მთაზე ჯუჯები ცხოვრობდნენ, ჩიები და ბეჩავნი. ვინც საითკენაც „დაუფშტვენდა", იქით მიჰყვებოდნენ ნიავ-ქარს და შიშისაგან მუდამ კანკალებდნენ. ფრჩხილებითა და კბილებით ეპოტინებოდნენ კლდეღრეს და ვაი-ვაგლახით შოულობდნენ სარჩო-საბადებელს. ათასში ერთხელ თუ სადმე მთის კანჯარს გადააწყდებოდნენ, ხომ კაი, თუ არადა, იყვნენ ასე ბეჩავად, სული ედგათ და ამითაც კმაყოფილდებოდნენ. თუმცა, მთლად კმაყოფილნი იყვნენო, ვერ იტყვი კაცი! თავიანთ ბეჩავ ცხოვრებას უფრო უბეჩავებდათ კიდევ ერთი უბედურება, რომლის „წამალი" ვერ გამოენახათ.

„ხაჩქი" და „კივალა" ალპური ზონით იყო დაგვირგვინებული და იდუმალი „ალგდუებით" დამზრალი. „ალგდ" ძაბრს მინამგვან ჭებს ჰქვია აქაურთა ენაზე. გეოგრაფმეცნიერები კი, ამბობენ, ეს ვულკანური წარმოშობის „ძაბრებიაო", მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ აქაურობა ლეგენდებით იყო სავსე მაშინაც.

იმ უხსოვარი დროიდან, კიდევ უფრო უხსოვარ დროში აქაურობას ერთი ასთავიანი ბაყბაყდევი შემოეჩვია თურმე და, როგორც ამბობენ, თვეში ერთხელ, გადმოდგებოდა „ხაჩქის" მთაზე, გრუხუნ-წივილით „დაუფშტვენდა" და ბეჩავ ჯუჯებში ატყდებოდა ერთი გნიასი,— შერჩეული, ულამაზესი მზეთუნახავი აჰყავდათ „გურიშის" მწვერვალზე და დევს მიართმევდნენ ძღვნად. მერე, კვირიდან კვირამდე ელოდნენ თავიანთ ბედისწერას. ბაყბაყს კი ფეხებზე ეკიდა გურიშელები. მათ კი ისე დაბეჩავებოდათ სული, რომ თავი დაეხარათ და, როგორც გითხარით, „ფშტვენის" ხმაზე ხან ერთ მხარეს მიაწყდებოდნენ და ხან — მეორეს.

ვინ იცის, რამდენი საუკუნე გაგრძელდა ასე!

ბოლოს, საიდანღაც არამხუტუ გამოჩნდა, კაცი დევზე უფრო გოლიათი და ადამიანთა მოსაშველე. კარგა ხანს უყურა არამხუტუმ ბეჩავთა ყოფას, უყურა, უყურა და, როდესაც ბაყბაყმა კიდევ ერთი მზეთუნახავი ცაში აიტაცა და მთებზე ფეხი მოინაცვლა, არამხუტუმ წიხლი ჰკრა „კივილას" მთას, განზე გასწია და თვითონ წამოიმართა მასზე. ბაყბაყი კვლავ შეეცადა „კივილაზე" ფეხის დადგმას, მაგრამ მეხივით კივილი მოესმა:

— შესდექ, უწმინდურო!.. მოვიდა შენი სულთამხუთავი!..

არამხუტუმ უზარმაზარი კლდე მოანგრია და ესროლა „ხაჩქის" მთაზე მდგარ ბაყბაყს. ნასროლი ლოდი „ხაჩქის" ველზე დაეცა. სადაც ის დაეცა, უძირო ჭა გაჩნდა. ახლა დევმა ესროლა არამხუტუს. „კივალას" მთაზეც გაჩნდა „ალგდ"! შვიდი დღე და ღამე იბრძოდნენ ასე. „გურიშის" მთის ნაპრალებში კი გურიშელები მიყუჟულიყვნენ და კანკალებდნენ.

არამხუტუმ კიდევ ერთხელ ესროლა ბაყბაყს ლოდი. ბაყბაყი რისი ბაყბაყი იქნებოდა, ასე ადვილად გასცლოდა აქაურობას. კვლავ მოიხელა ლოდი და ესროლა არამხუტუს. არამხუტუ დაიჭრა, მაგრამ რისი არამხუტუ იქნებოდა, რომ არ ეპასუხა. გაბრაზდა და... „იგრის" ხეობაში ჩაიხერგა ბაყბაყი.

—ეჰე, ჰე!.. — ახმიანდნენ გურიშელები. არამხუტუ კი გამარჯვებული იდგა „კივალას" მთაზე და ვერცხლის ჯადოსნური ტბიდან პეშვით ამოღებული მაცოცხლებელი წყლით იბანდა იარას.

გურიშელებს ფხა მისცემოდათ და „იგრის" ხეობაში ჩახერგილი ბაყბაყის მძორზე ბუქნას უვლიდნენ. უყურებდა არამხუტუ აცეტებულთ და კვლავ დინჯად იბანდა ჭრილობას. მისი ჭრილობიდან ჩამონაბანი სისხლი აწითლებდა წყაროებს და ამ წყაროთა კიდეებზე ია-ვარდი ხარობდა.

— ეი, შენ!.. ვინ ოხერი ხარ, წყაროს რომ გვიმღვრევ?.. გაეთრიე აქედან, თორემ, შენ უარესს გიზამთ, ვინემ ამ ბაყბაყს!..

არამხუტუ გაოცებული თვალებით დაჰყურებდა ბეჩავთ და ხმას ვერ იღებდა!

გაჯიქდნენ აქამდე კურდღლებივით მიმალული გურიშელები. მიადგნენ ვერცხლის ტბის კალთებს და ფრჩხილებით ძირის გამოთხრა დაუწყეს, რათა დაეწრიტათ მაცოცხლებელი მალამო...

—ნუ შვრებით ამას, ბეჩავნო, ეს მაინც დაიტოვეთ, რომ სული მაინც შეგრჩეთ დაბეჩავებულ სხეულში!..

მაგრამ არავინ უსმენდა არამხუტუს.

—უგუნურთა და ბეჩავთა ხვედრია მონობა!..— ამოიქუხა არამხუტუმ და სხვა ქვეყანას მიაშურა. კლდის ლოდი კი „კივილას" მთაზე დატოვა, იქნებ გონს მოეგონ და კვლავ დასჭირდესო ხალხს!

... მერე, დიდი ხნის მერე, ასთავა ბაყბაყმა ერთი თავი ასწია კვლავ, თურმე, და კვლავ „დაუფშტვინა". ისევ პირქვე დაემხნენ გურიშელები და თაყვანი სცეს იმ ცალ თავს!

მერე, არავინ იცის, როგორ მოხდა, მაგრამ გაწყდნენ გურიშელები, დაიწყევლა აქაურობა, დაისეტყვა ქვეყანა ესე! კარგახანს სულიერი ვერ ჭაჭანებდა, სანამ ჯვარაღმართული მოძღვარი არ მოვიდა და „იგრისა" და „ნამგალას" შესართავთან ჯვარი არ აღმართა!

**... მე კი, „ხარჩისა" და „კივილას" მთები მომიყვნენ ამ სევდიან ამბავს. ოღონდ ის არ ვიცი, ახლა რატომ ამეკვიატა გონებაში ეს ფოლკლორული რემინისცენცია! რაღაც, ეჭვებმა შემიპყრო, —კიდევ ხომ არ სუნთქავს ის ცალი თავი, იმ ასთავა ბაყბაყისა?!! თუ ასეა, არა უშავს, „კივილას" მთაზე დღესაც დევს უზარმაზარი ლოდი, თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ რომ მიაჩნია ხალხს! რაც შეეხება არამხუტუს, ისიც გამოჩნდება საცაა!**

**ზაურ ფიფია**

წიგნი

# სარკმელი ლეგენდების ქვეყანაში

**ამბობენ, ინტერნეტისა და ე.წ. ელფოსტების ეპოქაში, წიგნს ცოტ-ცოტა გაუვიდაო ყავლი! მაგრამ, მადლობა ღმერთს, მთლად ასე არ არის საქმე! ჯერ კიდევ შემოგვრჩენია მიზეზი სიხარულისა! წიგნის მოყვარულთა გასახარად, იბეჭდება და გამოდის შესანიშნავად გამოცემული კრებულები თუ რომანები! შეიძლება ვინმემ ისიც თქვას, რად გვინდა ასეთი, ლამაზად გაფორმებული, თვალის მოსატყუარი „შემოქმედება", თუ შინაარსი ვერ უპასუხებს მკითხველთა მოთხოვნებსო? გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, — არც ეს „პრეტენზიაა" მისაყურისძირებელი საქმე, მაგრამ ქვიშაშიც გამოკრთება, ხოლმე, ოქროს მარცვლები.**




ამჯერად სწორედ ერთ-ერთ ასეთ ოქროს მარცვალზე გვინდა მოგახსენოთ ჩვენი აზრი! ეს გახლავთ ხელოვნებათმცოდნე თეა კობახიძის სამოგზაურო-ტურისტული ხასიათის წიგნი-ალბომი „კაბადოკია", რომელიც ეძღვნება ნიკორწმინდის ეპარქიის 100 წლისთავს და რუსთავის სიონის დაარსებას. წიგნი დაიბეჭდა მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტის იოანეს (გამრეკელისძ ლოცვა-კურთხევით. პროექტი განხორციელდა ქტიტორისა და მეცენატის თამაზ გველუკაშვილის ფინანსური მხარდაჭერით.

წიგნი ფერადი ფოტოების სიმრავლით არის მიმზიდველი და, ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, იმგვარი ემოციური აღფრთოვანებითაც არის შესრულებული, რომ მისი კითხვისას, შენც სიამოვნებით დააბიჯებ კაბადოკიის წმინდა მიწაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მხოლოდ ამ თემისადმი მიძღვნილი ნაშრომის პირველი ნაწილია და ეხება კაბადოკიის ჩრდილოეთ ნაწილს. მეორე ნაწილს მომავლისთვის გვპირდება ავტორი, რაც ეგზომ სასიხარულოა, რადგან კაბადოკიური და ქართული სიწმინდეები სისხლხორცეულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ურიგო არ იქნება, ქართველ მკითხველს უფრო მასშტაბურად მოვუთხროთ ჩვენი ისტორიული ფოლიანტების შესახებ.

ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია ამ თემასთან შეხება, დაგვეთანხმებით, — ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს! თუმცა, ეს ყველაფერი ფრიად საძნელო საქმეა! მაგრამ, როდესაც ყოველი ჩვენგანი (ვისაც ხელეწიფება!ძ თითო აგურს მაინც მოიხელებს ამ კეთილშობილური საქმისათვის, ტაძარიც აშენდება, ტაძარი, ჩვენი, მართლმადიდებლური რწმენის ტაძარი! ისევე, როგორც გამორჩეულ სხვა ქართველთა დარად, ააგო იგი ღვთის ნათელნაკურთხმა კაცმა, ლევან მატუამ ქალაქ ჯვარში, ოჭანეს დალოცვილი ცის ქვეშ! დღეს იქ, მადლცხებული დედათა მონასტრის ტაძარში, უკვე ყოველდღე, დილაცისმარე აღევლინება უფლის სადიდებელი და მალე სწორედ აქ დაიდებს სასუფეველს კაბადოკიის მიუვალ კლდეებში აქამდე იდუმლად ბრძანებული, ერთ-ერთი სახება დიდი დედისა მაცხოვრისა ჩვენისა, წმინდა მარიამი!

შეიძლება, ერთი შეხედვით პატივცემული თეა კობახიძის ნაშრომს ტურისტულმოგზაურული ჟანრის ელფერი გადაჰკრავდეს, მაგრამ იმედია, ავტორს, რომელმაც უზარმაზარი ენერგია შეალია ამ საქმეს, აქვს მარაქაში მოკვლეული მასალების ზღვა და კიდევ ერთხელ გაგვახარებს მათი წარმოჩენით!



სარკმელი კაბადოკიისა

ჩვენ კი ულრმეს მადლობას მოვახსენებთ გაწეული შრომისათვის და ვუსურვებთ მას ულევ ენერგიას საკეთილო საქმის კეთებაში!

**რამინ ჭელიძე,**
**ზაურ ფიფია.**

წკეპლიკები

# ზოგი ჭირი, დიახაც, მარგებელია!..

მე, საზოგადოების რიგითი წევრი და თავისუფალი, დამოუკიდებელი, შემორჩენილი საქართველოს რიგითი მოქალაქე, რომ გავეჩერებინე ქუჩაში მიშაარხების რომელიმე თვალჟუჟუნა ტელეჟურნალისტს და ეკითხა — ორი სიტყვით როგორ შეაფასებდით აშშ-ში ჩვენი პრეზიდენტის ვიზიტსო, ორ ვარიანტს შევთავაზებდი პასუხად: გასკდა ტრაბახით ან დაყარა ტყუილები-მეთქი...

მკითხველს კი ამგვარ მაგალითს („კვეხნურას"!ძ მოვუყვან: ერთ-ერთ ამერიკულ ცენტრში (იმდენში მიიწვიეს მაღალსტუმართმოყვარე იანკებმა, რომ ყველას სახელს რა დაიმახსოვრებს!ძ გამოსვლისას მიხეილ-ბატონმა ბრძანა: რამდენჯერ გამაფრთხილეს გაფრენის წინ (მე შენ გეტყვი და, აკლია გაფრენები — ზ. ზ.ძ — ჩვენი თვითმფრინავი რუსულ რაკეტებს ჰყავთ მიზანშიო (ერთ შემთხვევაში გამფრთხილებელი ყოფილა დაცვის წევრი, „შეთავსებით", პრეზიდენტის მეგობარი — ზ. ზ.ძ; მე ყოველთვის ვუპასუხებდი — გაფრენას არ გადავდებ, ჩვენ მაინც გავფრინდებით-მეთქი.

დახეთ, რა მამაცი, რა გამბედავი გამხდარა ქვეყნის მეთაური და უმაღლესი მთავარსარდალი 2008 წლის აგვისტოს გორული ფიასკოს, მეჯვრისხევის ქუჩაზე გადამხდარი ჭირის მერე და სწორედ აქაა ჭირის მარგებლობა (აქვე საკითხავად, ნეტავ მაშინ გადამფარებელთა შორის ის მეგობარიც თუ იყო, დაცვის წევრი...ძ.

ისე, ამნაირი მნიშვნელვოანი მეტამორფოზის თაობაზე რატომ აქამდე არ ვიცოდით და მაინცდამაინც ოკეანის გაღმიდან რატომ უნდა შეგვეტყო — ესეც საკითხავია.

...„ვარდების რევოლუციის" წიაღ არაერთგზის წამომგონებია კალამმირონცხებული იოსებ გრიშაშვილის ერთი საბავშვო ლექსი და გუნებაში ამნაირად გარდამითქვამს:

მე მინდოდა შენს საქმეთ, ვარდებივით ეხარა,
შენ კი რა გამოხვედი, ბაქია და მკვეხარა...

...თვალჟუჟუნა ტელეჟურნალისტს ასეთი კითხვაც რომ დაესვა — ცოტა უფრო ვრცელ შეფასებას როგორს მისცემდით მიხეილ სააკაშვილის ბოლო ამერიკულ ვოიაჟსო, ვუპასუხებდი: ამაზე გრძელი, ამაზე დიდი, ამაზე ტყუილებიანი და ამაზე გაბუქებული ვიზიტი აქამდე არ ჰქონია-მეთქი...

# პომიდვრის მაგალითზე

მშობლიურ დილმის მასივში მშობლიურსავე მარკეტში შევედი და ხილ-ბოსტნეულის კუთხეში 1 კგ პომიდორი რომ 9 (ცხრა!ძ ლარი (?!ძ „დამხვდა", ნაოპერაციევ თვალებს არ დავუჯერე, მართლა ამდენი ღირს-მეთქი, ვკითხე გამყიდველს, სიმპათიურ ახალგაზრდა ქალს. — დილმის პომიდორია, ძალიან გემრიელიაო, „მანუგეშა"...

ჩვენმა აშშ-ში ტრიუმფულად „გაგულავებულმა" პრეზიდენტმა, იმისი ხილვით აღფრთოვანებულ იანკებთან მრავალრიცხოვანი შეხვედრიდან ერთ-ერთზე, მრავალრიცხოვანი დახეთქებიდან ერთ-ერთზე, საქართველოს ეკონომიკაც ახსენა და 4-ჯერ (ოთხჯერ!ძ გაიზარდაო, განაცხადა.

დიდება შენდა, მიხეილ-ბატონო! ქვეყანაში ეკონომიკის განვითარება თუ საკვები პროდუქტის ღირებულების კატასტროფულ მატებასაც ნიშნავდა, ნამდვილად არ ვიცოდი, მაგრამ სწავლა ხომ სიბერემდეა...

მშობლიურ მარკეტში პომიდვრის „ეპიზოდმა" საბჭოური ხანის ერთი სიმღერა გამახსენა და ცოტა გარდათქმული უნდა შემოგთავაზოთ: მძლავრია ნაცთა პარტიაპარტიაა! იმისი დარი სად არი — სად არიი! პომიდვრის ფასსაც ატყვიაა, ნაცების ნაამაგარიი...

ჩემს შორეულ ახალგაზრდობაში, აკადემიის გამოთვლით ცენტრში რომ ვმუშაობდი (ნეტავ იმ დროს, კვლევითი ინსტიტუტები მეცნიერებათ აკადემიაში რომ შედიოდა...ძ, უფროსი ბუღალტერი გვყავდა ერთი, კოლორიტული დროული კაცი, შეხვედრისას ასე მოგვიკითხავდა ხოლმე — ჰა, როგოა საქმე, ჟიმ-ჟიმ-ბაო რასა სწერამსო (მაშინდელი ჩინური კომუნისტური გაზეთის „ჟემინ ჟიბაოს" სახელწოდების დამახინჯებითძ...

ჰოდა, ჩვენსკენ რომ 1 კგ პომიდორი 9 ლარი ღირს, თქვენსკენ როგოა საქმე?..

**ბერდია ბედოიძე**

ფეხბურთი

# მოზაიკა

**მოგეხსენებათ, ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ასოციაცია ნაირ-ნაირ ნომინაციებში ავლენს საუკეთესოებს. ამჯერად მის ინტერესთა სფეროში მწვრთნელები მოექცნენ.**

უფრო კონკრეტულნი თუ ვიქნებით, ამ დღეებში აღნიშნულმა პატივისაცემმა ორგანიზაციამ მსოფლიოს უკანასკნელი ოცწლეულის რჩეულთა ნუსხა გამოაქვეყნა. სასიამოვნოა, რომ დაფასებულთა შორის თემურ ქეცბაიასაც ვხვდებით — „ჯვაროსანთა“ თავკაცს 166-ე ადგილი ხვდა, სულ კი გამოკითხულებმა 191 სპეციალისტი დაასახელეს.

არანაკლებ საინტერესოა მის წინამორბედ უცხოელთა აღიარებაც — არგენტინელი ექტორ კუპერი 42-ეა, გერმანელი კლაუს ტოპმიოლერი — 70-ე.

ხოლო რაც შეეხება ელიტას, მის სათავეში ასეთი მდგომარეობაა: ფერგიუსონი — 166 ქულა, ვენგერი — 165, მოურინიუ — 154, კაპელო — 135, ჰიდინკი — 112, ანჩელოტი — 108, დელ ბოსკე — 104, ბიელსა, სკოლარი — 101-101, ბენიტესი — 97, ლიპი — 88, რაიკაარდი — 80, ერიქსონი — 79, ლიოვი, ბრიუკნერი — 76-76, ჰიტცფელდი, პარეირა — 65-65, დუნგა, მანჩინი — 62-62, რეჰაგელი, ტრაპატონი — 61-61, გვარდიოლა — 59 ქულა.

* * *

**დონეცკის „შახტარის“ ლეგიონერმა დავით თარგამაძემ თავისი ახალი კლუბის მაისურით პირველი გოლი გაიტანა.**



ეს ამბავი დონბასელთა ესპანური შეკრების ბოლო მატჩში მოხდა, როცა მინდორზე 42-ე წუთზე შემცვლელად შესულმა ჩვენმა თანამემამულემ შვედურ „კალმართან“ სპარინგში ანგარიში 3:1 გახადა, მისმა პარტნიორებმა კი საბოლოოდ 5:1 გაიმარჯვეს.

* * *

**საქართველოს მოქმედი ჩემპიონი „ზესტაფონი“ ხვალ სამარის „კრილია სოვეტოვთან“ VII ადგილისთვის შეხვედრით მარბელას ტურნირზე გამოსვლას და, შესაბამისად, ესპანურ შეკრებას დაასრულებს.**

მოგეხსენებათ, ყვირილასპირელთა შემადგენლობაში ახალი სეზონის წინ მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები განხორციელდა, ამიტომ საგანგაშოდ არ უნდა მივიჩნიოთ გია ჟიაბრიშვილის გუნდის უარყოფითი შედეგები: „რუბინთან“ — 1:5, „ტიმიშოარასთან“ — 0:3, აგრეთვე ამხანაგურ შეხვედრაში „დნიპროსთან“ — 2:8.

ინტერნეტიდან

## მილიონები წუთში?

**ნათქვამია, სხვის ჯიბეში ფულის თვლა უზნეობააო, მაგრამ, როცა საქმე ეხება სახელოვან სპორტსმენთა შემოსავალს, ასე როდია. აი, თუნდაც ბელორუს ჩოგბურთელ ქალს ვიქტორია აზარენკოს 1 საათი და 20 წუთი დასჭირდა Australian Open-ზე მარია შარაპოვას დასამარცხებლად და მილიონ 84 ათას 500 დოლარის მისაღებად, თუმცა იმავე თანხისთვის ნოვაკ ჯოკოვიჩი რაფიელ ნადალთან ანგარიშის გასასწორებლად მთელი 6 საათი იბრძოდა და ბოლოს ორივე ისე გადაიქანცა, რომ დაჯილდოების ცერემონიაზე ტურნირის ორგანიზატორებმა მათთვის სკამებიც კი გამონახეს.**

რათა ნათლად დავინახოთ, თუ რამდენს ღებულობენ ცნობილი წამყვანი სპორტსმენები, ზოგიერთ ფაქტს დაგისახელებთ.

მახაჩკალის „ანჟის“ თავდამსხმელმა სამუელ ეტო'ომ შარშან ხელფასების ბაზარი ააფეთქა, ახალი კლუბის ხელმძღვანელობას ხელფასად 25,7 მილიონ დოლარად რომ გაურიგდა. კამერუნელმა სუპერფორვარდმა შარშან „ანჟიში“ 11 მატჩი ითამაშა, ისე რომ, ეტო'ომ მწვანე მინდორზე 929 წუთი გაატარა. თუ ამას დოლარებზე გადავიანგარიშებთ, მივიღებთ, ფეხბურთელი მინდორზე გატარებული ყოველი წუთისთვის 9254 დოლარით მდიდრდებოდა.



ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელი მსოფლიოში კობი ბრაიანტი წელიწადში 23 მილიონ დოლარს ღებულობს პრემიებისა და სარეკლამო კონტრაქტების ჩაუთვლელად. ჩვეულებრივ რეგულარულ სეზონში ის მართავს 82 მატჩს. გამოდის, რომ კობი კალათბურთის ერთ წუთში გამოიმუშავებს 7012 დოლარს.

ამ რეიტინგში მოულოდნელად ყველა დაჯაბნა სამთომოთხილამურემ დიდიე კუშმა სამთო თხილამურებით მსოფლიო თასის ეტაპზე კიტც ბიუელში. მან ჩქაროსნულ დაშვებაში მიიღო 86 ათასი ევრო. ტრასაზე კი მან მხოლოდ 1 წუთი და 13 წამი დაჰყო. ეს კი დოლარებზე გადაყვანით 91 154 დოლარს უდრის წუთში.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ აბსოლუტური რეკორდი ეკუთვნის ლეგენდარულ მოკრივეს მაიკ ტაისონს. 1988 წელს მან რინგზე დასცა მაიკ სპინკსი, რაზეც მხოლოდ 91 წამი დასჭირდა, ამაში კი მან — 20 მილიონი დოლარი მიიღო.

## „არსენალის“ მთავარი გულშემატკივარი

**ლონდონის „არსენალის“ ყველაზე მაღალალმატებული გულშემატკივარია ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II. როგორც მისი პირადი ბიოგრაფი სალი ბედლერ სმიტი მონარქისადმი მიძღვნილ წიგნში წერს, მას ხშირად ავიწყდება თავისი ხელჩანთა, უამრავი ნივთით.**



როგორც წიგნი ამტკიცებს, დედოფალს თან არ მიაქვს მობილური ტელეფონი, როდესაც წარმოუდგენელია ასეთი ქალი მის გარეშე. მაგრამ ელისაბედის სინამდვილეში ეს ასე ყოფილა. დედოფლის ჩანთაში აუცილებლად უნდა იყოს სათვალე კითხვისთვის, პიტნის საწუწნი კანფეტები, კალამი, პატარა სარკე, პომადა და ცოტაოდენი ხელის ფული — არა უმეტეს 10 გირვანქა — ეკლესიაში შეწირულობისთვის.

ახლა კი სვამენ ასეთ კითხვას — რა იყო მის საპარადო ხელჩანთაში მისი შვილიშვილის, პრინც უილიამისა და კეტრინ მიდლტონის ქორწილში.

## ბიკინების ახალი კოლექციით

**2012 წლის გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისთვის 19 წლის კეიტ აპტონი, რომელმაც ყველაზე სასურველი ქალების 2012 წლის რეიტინგში მეორე ადგილი დაიკავა, გადაიღეს ბიკინების მრავალნაირი მოდელებით ბრენდისთვის Beach Bunny საცურაო კოსტიუმების რეკლამისთვის.**



ამაზე ოცნება კეტის არ შეეძლო. ვიდრე მოდელი გახდებოდა, ის საცხენოსნო სპორტს მისდევდა და მოიგო ახალგაზრდა მოდელების კონკურსი. შემდეგ კი გადავიდა ამერიკულ „უღრანში“ — ნიუ-იორკში. ის კი ახლა ძალზე პოპულარულია ქვედა თეთრეულის რეკლამით.

ჯანმრთელობა

## რძე და ბიჭები

**მოზარდ** ასაკში რძის მოხმარების დროს იზრდება პროსტატის კიბოს განვითარების რისკი, დაადგინეს ისლანდიელმა მეცნიერებმა.

მათ შეისწავლეს 2,2 ათასზე მეტი იმ ისლანდიელი მამაკაცის მონაცემები, რომლებიც 1907 წლიდან 1935 წლამდე დაიბადნენ. 2009 წლისთვის გამოკვლევის მონაწილეთა ნახევარს წინამდებარე ჯირკვლის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. მკვლევარებს აინტერესებდათ, თუ როგორი სიხშირით სვამდნენ ისლანდიელები რძეს თავიანთი ცხოვრების მანძილის სხვადასხვა პერიოდში.



პირველ ჯგუფში შევიდა 800-ზე მეტი მამაკაცი, რომლებიც ყოველდღიურად ღებულობდნენ რძეს მოზარდის ასაკში. მეორეში — გამოკვლევის 462 მონაწილე, რომლებიც რძეს ყოველდღე არ სვამდნენ.

პროსტატის კიბოს განვითარების რისკმა პირველ ჯგუფში ანალოგიურ მაჩვენებელს მეორე ჯგუფიდან 3,2-ჯერ გადააჭარბა.

## რაც შორსაა, მით უკეთესია

**სექსუალური** კმაყოფილება ქალებში იზრდება ასაკთან ერთად, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით: თუ ის სექსუალურად აქტიური იყო ადრეც. ქალბატონები, რომელთათვისაც სექსი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ასრულებდა მეორეხარისხოვან როლს, ასეთი შედეგებით ვერ დაიკვეხნიან.

გამოკვლევა, რომელსაც ამერიკელი მეცნიერები აწარმოებდნენ 806 ხანდაზმული ქალის მონაწილეობით, აფასებდა მათ სექსუალურ აქტიურობას მთელი სიცოცხლის მანძილზე. მონაწილეთა საშუალო ასაკი 67 წელი იყო, მათგან 63 პროცენტი პოსტმენოპაუზის პერიოდში იმყოფებოდა.

გამოკითხვებმა აჩვენეს, რომ უფროსი ასაკის მხოლოდ ყოველი მეხუთე სექსუალურად აქტიური ქალი არის კმაყოფილი თავისი ინტიმური ცხოვრებით, დანარჩენები სექსს აწარმოებენ შემთხვევიდან შემთხვევამდე, ყველაზე ხშირად — ოჯახში ნორმალური ურთიერთობების მხარდასაჭერად. თუ ქალი კმაყოფილი იყო თავისი სექსუალური ცხოვრებით ახალგაზრდობაში, ასაკთან ერთად ეს სურათი შენარჩუნებული იყო.

## გამოიყენეთ ნებისყოფა!

**ნიკოტინის** შემცვლელი სალბუნები და საღეჭი რეზინები ვერ გვეხმარებიან, უარი ვთქვათ მოწევაზე, — მიაჩნიათ სპეციალისტებს ჰარვარდის ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტიდან. ნიკოტინისშემცველების გამოყენება თავიანთი ეფექტიანობით ვერ ჯობნიან დამოუკიდებელ უარს მოწევაზე, ამბობენ გამოკვლევის ავტორები.

გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო 787 სრულწლოვანმა მწეველმა, რომლებმაც ცოტა ხნის წინათ უარი თქვეს მავნე ჩვევაზე. მონაწილეები გამოკითხეს გამოყენებული საშუალებების — ნიკოტინის, საღეჭი რეზინების, ინჰალატორებისა და სალბუნების — ეფექტიანობის შესახებ. გამოკვლევის შედეგების თანახმად, მონაწილეთა თითქმის ერთმა მესამედმა კვლავ დაიწყო მოწევა.

## ტყვიით თავში

**80 წელზე** მეტი ტყვიით თავში იცოცხლა მამაკაცმა. 85 წლის ხანდაზმული მამაკაცი მიიყვანეს რუსეთის კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში გულის ტკივილის გამო. ექიმების გამოკითხვის დროს მან თქვა, რომ სამი წლის ასაკში მიიღო ცეცხლსასროლი ჭრილობა — უფროს ძმას შემთხვევით გაუვარდა პისტოლეტი და ტყვია ცხვირქვეშ მოხვდა. მაშინ ექიმებმა გადაწყვიტეს, არ გაეკეთებინათ ბიჭისთვის ოპერაცია იმის შიშით, რომ რისკი სარგებელზე მეტი იქნებოდა.

ბიჭს არანაირი ფიზიკური და ფსიქიკური დარღვევები არ შეენიშნებოდა. ის გაიზარდა, გახდა ინჟინერი და მონაწილეობდა ბალისტიკური რაკეტების შექმნაში, რისთვისაც სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიაც დაიმსახურა.

**გამოკითხვა**

რამდენ დროს კარგავთ გარეგნობის მოსაწესრიგებლად?

40 პროცენტი — 10-15 წუთს დილით

22 პროცენტი — არ დავფიქრებულვარ, ჩემი გარეგნობა არ მაღელვებს

21 პროცენტი — ნახევარ საათს

14 პროცენტი — დაახლოებით ერთი საათი ყოველდღე

3 პროცენტი — სულ ცოტა ორი საათი ყოველდღე.

სულ გამოკითხვაში 2862 კაცმა მიიღო მონაწილეობა

კარდიოლოგიური ცენტრის თანამშრომლებმა მამაკაცს ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია დაუნიშნეს. გამოკვლევამ აჩვენა, რომ კეფის ძვლის დიდი ხვრელის მიდამოებში არის ტყვია. ამ დროს უცხო სხეული არ აწვება სიცოცხლისთვის მნიშვნელოვან ორგანოებს და არ იწვევს ცვლილებებს გარშემო ქსოვილებში.

ექიმებმა, როგორც მათმა კოლეგებმა 80 წლის წინათ, არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად უცხო სხეულის ამოღება. მათ მხოლოდ გააფრთხილეს მამაკაცი, რომ თავის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია მისთვის უკუჩვენებითია, ვინაიდან ტომოგრაფის ძლიერმა მაგნიტურმა ველმა შეიძლება ტყვიას ადგილი შეუცვალოსო.

ЗДОРОВЬЕ

## სკოლა

# ქართველი მანდატურები – ამერიკელი „სკულოფიცრების“ ცუდი ვარიანტი?!

### თუ პედაგოგს უსიამოვნება არ სურს, მანდატურთან „მეგობრული ურთიერთობა“ უნდა დაამყაროს!

**გაამართლა თუ არა მანდატურის ინსტიტუტმა ქართულ სკოლებში? ამის შესახებ საზოგადოებაში განსხვავებული მოსაზრებაა. თავად მშობლების ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი მანდატურის იმედად, უსაფრთხო სკოლაში უშვებენ ბავშვებს, თუმცა რა ხდება სკოლის გარეთ, იქ, სადაც სათვალთვალო კამერები და ე.წ. „ნადზირატელები“ არ არსებობს? რატომ გადაინაცვლა აგრესიამ სკოლიდან მოშორებით, სადაც ხშირად ბავშვები ერთმანეთს საქმეებსაც ურჩევენ და ზოგჯერ მანდატურთან დაბეზღება-ჩაშვების გამო თავიანთ თანატოლებსაც უსწორდებიან?!**

„კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ოფისში დისკუსია გაიმართა თემაზე – **„უსაფრთხო სკოლის“ საფრთხეები“**. როგორც გაირკვა, მოსწავლეებზე ძალადობა რეგიონებში უფრო მეტია, ვიდრე – თბილისში. ესაა ფსიქოლოგიური, სექსუალური (მათ შორის, სურათების ჩვენებაცძ და ფიზიკური ძალადობა. ამასთან, სკოლებში ძალადობის მსხვერპლნი უფრო ბიჭები არიან, ვიდრე გოგონები. თანაც, მოსწავლეები ძირითადად 10-13 წლის ასაკში ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი.

„უსაფრთხო სკოლა ჩვენი საზოგადოებისთვის სენსიტიურია. მართალია, მანდატურების შემდეგ ძალადობის შემთხვევები მთლად დირექტორის კაბინეტის წინ არ ხდება, მაგრამ ძალადობა ხორციელდება სკოლის ეზოში, სკოლის გარეთ, ტუალეტში, საკლასო ოთახებში, ხეებით დაფარულ ადგილას, თანაც, ნებისმიერ დროს – გაკვეთილების შემდეგ თუ შესვენებებზე. 2010 წლის მარტში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მინისტრ შაშკინის ინიციატივით, მანდატურების საპილოტე პროექტის განხორციელება დაიწყო. საპილოტე პროექტის შინაარსი განათლების სპეციალისტებთან არ განუხილავთ, მისი შინაარსი ბუნდოვანი იყო საზოგადოებისთვის. თუმცა, მისი დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროექტი რატომღაც წარმატებულად შეფასდა. საინტერესოა, ორ კვირაში საიდან დაასკვნეს, რომ პროექტი წარმატებული იყო?!“ – ინტერესდება განათლების სპეციალისტი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების პროგრამის მენეჯერი თამარ მოსიაშვილი.

მასვე მაგალითად მოჰყავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემები, რომლის თანახმადაც, მანდატურების წყალობით სკოლებში თურმე 80%-ით შემცირდა მოსწავლეების დაგვიანების ფაქტები, 75 %-ით შემცირდა ე.წ. „შატალოები“, 95%-ით – ფულის გამოძალვა, ასევე, 80 %-ით იკლო მოსწავლეთა შორის დაპირისპირებამ, ხოლო 90 %-ით – საჯარო სკოლებში ვანდალიზმის (სასკოლო ქონების დაზიანებისძ ფაქტებმა.

თუმცა განათლების ექსპერტს აინტერესებს, რა იყო ამ „ლამაზი“ ციფრების საწყისი მაჩვენებელი?! რამდენად სანდოა ეს ციფრები, რომელსაც თურმე გენიალური მიგნება – მანდატურის ინსტიტუტი იძლევა?!

თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლის მანდატურის თანამდებობის მოსაპოვებლად საკმარისია, 20 წლის შესრულება, სახელმწიფო ენის ფლობა და შესარჩევ კონკურსზე გავლის შემდეგ შსს-ის აკადემიაში სამკვირიანი კურსის გავლა, ყველაფერი მარტივად წყდება. მანდატურს არც უმაღლესი განათლება მოეთხოვება, არც ბავშვის ფსიქიკაში გარკვევა. ექსპერტები ეჭვობენ, რომ მანდატური ბავშვის ასაკობრივ კანონზომიერებას სულ რაღაც სამ კვირაში, პოლიციის აკადემიაში ნაუცბათევი ტრენინგით, ვერ შეისწავლის. გარდა ამისა, მანდატურს ევალება სკოლის მართვაშიც მიიღოს მონაწილეობა, შეითავსოს სოცმუშაკისა და ფსიქოლოგის ფუნქციაც, რაც მისთვის საკმაოდ ბევრია. ამიტომ ექსპერტებს ლოგიკური კითხვა უჩნდებათ, შეძლებს კი ამდენი ფუნქციის შესრულებას ერთი ადამიანი?!

„რაც შეხება ამერიკას, რომლის მიბაძვაც ჩვენში სულ უფრო პოპულარული ხდება, იქ ზოგიერთი სკოლის მანდატური შერიფიც ყოფილა, ზოგიერთი მანდატურები კი, იგივე „სკულოფიცრები“ ძაღლებითაც დადიან, რადგან იქაური მოსწავლეები სკოლებში ნარკოტიკებითაც ვაჭრობენ.



საქართველოში კი მანდატურები დაინიშნენ არა სკოლებში უსაფრთხოების დასამყარებლად, არამედ – განათლების სამინისტროში მასწავლებლების დასმენის მიზნით“, – ასეთია პედაგოგთა პოზიცია.

„პედაგოგებს აკონტროლებენ, აზომბირებენ, აშინებენ. მოკლედ, ესაა პოლიციური სახელმწიფოს გაგრძელება. მანდატურის გამოჩენის შემდეგ მასწავლებლის პროფესიული ცხოვრება უფრო სტრესული გახდა, თორემ, 200-ბავშვიან სკოლაში დაძაბულობა რა გასაკვირია?! პრობლემური ბავშვი ყოველთვის იყო და იქნება სკოლაში და მათთან ურთიერთობა პროფესიონალმა უნდა დაამყაროს და არა ნებისმიერმა მანდატურმა,“ - გვითხრა ერთ-ერთმა პედაგოგმა.

„კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ გამგეობის თავმჯდომარე, იურისტი თამარ გაბისონია კანონმდებლობის ხარვეზზე ამახვილებს ყურადღებას, რადგან 20 წელს მიღწეული ჯანმრთელი მანდატური საკმარისი არაა, სკოლებში სახელმწიფო პოზიცია დაიკავოს.

**„სახელმწიფო პოლიტიკაა, რომ მანდატურის თუნდაც უკანონო ქმედება გაამართლოს. ჩვენ განვიხილავდით ერთ-ერთი პედაგოგის საქმეს, რომელსაც 45-წლიანი პედაგოგიური სტაჟის განმავლობაში საყვედურიც არ მიუღია. თუმცა ერთხელაც მანდატურმა სამასწავლებლო ოთახში შეკრიბა პედაგოგები იმის გასარკვევად, თუ ვინ დატოვა უყურადღებოდ კლასის ჟურნალი. ერთ-ერთმა პედაგოგმა უთხრა, თუ ამას რეფორმისთვის მნიშვნელობა აქვს, ავუტან ამ ჟურნალს იმ მასწავლებელს და ნუ ჩავშლით სასწავლო პროცესს. მოგვიანებით მასწავლებლებმა ჩვენება შეცვალეს და თქვეს, – ამ პედაგოგმა უყვირა მანდატურს და შეურაცხყოფა მიაყენა მანდატურის ინსტიტუტსო. შესაბამისად, ის მასწავლებელიც სკოლიდან გაათავისუფლეს, თანაც, სულ სხვა საფუძვლით – არაჯეროვნად შეასრულა მოვალეობა და არ დაამყარა მანდატურთან მეგობრული ურთიერთობა“**, – იხსენებს სკოლაში მომხდარ დაპირისპირებას იურისტი თამარ გაბისონია და თავადაც გაოცებას ვერ მალავს, თუ რას ნიშნავს მანდატურთან „მეგობრული ურთიერთობის დამყარება“?!

განათლების ექსპერტები, ასევე, მოითხოვენ, გაუქმდეს 2010 წლის 12 ნოემბერს განათლების მინისტრის მიერ გამოცემული 837-ე ხისტი ბრძანება, რაც საზოგადოებას სკოლის კარს უკეტავს.

**„სისტემაში შაშკინის მოსვლას მოჰყვა ეს ბრძანება. დირექტორებს უთხრეს, არავითარი ჟურნალისტებთან ურთიერთობა, საჯაროდ არაფერს იტყვით, პოტრჟებსკაიას (პრესსამსახურიძ ცენტრს შეუთანხმდითო. ბარიერებია სკოლასა და საზოგადოებას შორის. ნინოწმინდაში წიგნები მიგვქონდა, უფასოდ შევთავაზეთ, მაგრამ სკოლის დირექტორმა, ამავე 837-ე ბრძანების საფუძველზე, არ შეგვიშვა“**, – აცხადებს განათლების ექსპერტი.

ფსიქოლოგი ქეთევან კობალაძე კი მიიჩნევს, რომ ბავშვს თავად უნდა ასწავლო ბრაზისა და ემოციის მართვა, რადგან ყოფილა შემთხვევა, როცა ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრში (რომელიც სპეციალურად ქუჩის ბავშვებისთვის შეიქმნაძ ბავშვებს დანები სჭირდებოდათ აუტოაგრესიისთვის; ანუ, ვინც დაჩაგრულად გრძნობდა თავს, სხეულს ისერავდა.

„წარმოუდგენელია, სამი კვირის მანძილზე მანდატურს ფსიქოლოგიაც ასწავლო, ექთნობაც და მაშველის ფუნქციაც შეუთავსო. თუ 12 წლის ბავშვს ვერ „ერევი“, მაშინ მანდატურს რა ფუნქცია აკისრია? ძნელად აღსაზრდელი ბავშვების სამტრედიის სკოლა-ინტერნატში გადაყვანა 10 წლიდან უნდოდათ, თუმცა ორი წელი გვაჩუქეს და ახლა 12 წლის არასრულწლოვანი გადაჰყავთ სამტრედიაში. მაქსიმუმ 200 ბავშვის ადგილია იქ, თუმცა ამჟამად 20 ბავშვია სამტრედიის სკოლა-ინტერნატში“, – აცხადებს ქეთევან კობალაძე.

ამასთან, სრულიად გაუმართლებლად მიიჩნევს, რომ მომავალში ამ სკოლა-ინტერნატში გოგონებსაც გაუშვებენ. ფსიქოლოგის თქმით, დახურულ სივრცეში ძნელად აღსაზრდელი გოგო-ბიჭის ერთად გაჩერება რთულია, 12-დან 18 წლამდე გოგონებისა და ვაჟებისთვის კი, ეს სრული კატასტროფაა.

**მარიამ ლოლაშვილი**

## ინფორმაცია

### „სითი პარკი“ გადასახადის გაზრდის შესახებ ინფორმაციას უარყოფს



**„თავისუფალი დემოკრატების“ ინფორმაციით, კომპანია „სითი პარკი“ მომსახურების საფასურს აძვირებს. სპეციალური განცხადება ამის შესახებ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აბაშიძემ „სითი პარკის“ ოფისთან გააკეთა. მისი თქმით, „სითი პარკის“ მომსახურება ორჯერ გაძვირდა ბათუმში, იყო 40 და გახდა 80 ლარი.**

**როგორც ზურა აბაშიძე განმარტავს, მსგავს ქმედებებს და მომსახურების საფასურის გაორმაგებას კომპანია „სითი პარკი“ თბილისშიც გეგმავს.**

**– მილიონობით ლარი, რომელიც კომპანიაში შედის, უცნობია, სად მიდის და რას ხმარდება, რადგან დედაქალაქის არც ერთ რაიონში დგომის სისტემა განვითარებული არ არის. „სითი პარკი“ დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ ართმევს, – აღნიშნა აბაშიძემ.**

**„თავისუფალ დემოკრატებს“ კომპანია „სითი პარკის“ გენერალურმა მენეჯერმა იანივ მარეცკიმ უპასუხა.**

**მისი განცხადებით, არც ერთი თეთრით „სითი პარკი„ გადასახადის გაზრდას არ გეგმავს. როგორც კომპანიის მენეჯერმა განმარტა, გადასახადი ერთი წლის განმავლობაში 50 ლარია და ასევე დარჩება.**

**რაც შეეხება შემოსულ თანხებს, „სითი პარკის“ მენეჯერის განმარტებით, თანხების 60% მერიის ბიუჯეტში მიდის, დანარჩენი 40% კი – ინფრასტურქტურის განვითარებას ხმარდება.**

**„სითი პარკის“ გენერალურმა მენეჯერმა კომენტარი გააკეთა ბათუმში ტარიფის გაძვირებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ბათუმის კომპანიასა და „სითი პარკს„ ერთმანეთთან არანაირი კავშირი არ აქვს.**

**– ბათუმში დგომის წესებს აბსოლუტურად სხვა კომპანია აწესრიგებს, „სითი პარკი“ კი, მხოლოდ თბილისს ემსახურება, – აღნიშნა „სითი პარკის“ გენერალურმა მენეჯერმა.**

### თსუ-ს ზოოლოგიის მუზეუმს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა

**განათლების სამინისტროს საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის მუზეუმს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.**

**განათლების სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა განახლებული მუზეუმი მოსწავლეებთან ერთად დაათვალიერეს.**

**ზოოლოგიის მუზეუმში სარემონტო და სარესტავრაციო სამუშაოები ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მუზეუმის ექსპოზიციაში ხუთი ათასზე მეტი განახლებული ექსპონატია წარმოდგენილი, რომელიც ახალ ვიტრინებშია განთავსებული. გამოფენილ ნიმუშებს რესტავრაცია 1945 წლის შემდეგ პირველად ჩაუტარდა.**

**განახლებულ მუზეუმში დაცულ ექსპონატებს სკოლის მოსწავლეებიც გაეცნობიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ აქ საბუნებისმეტყველო საგნებში გაკვეთილებიც ჩაუტარდებათ.**

ინტერპრესნიუსი

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, უთანაბრდება თუ არა შრომის ხელშეკრულებას ხელმძღვანელის ნებართვა პირის სამუშაოზე მიღების შესახებ?**

**ნატო შერმადინი**

**პასუხი**: პირის წერილობითი განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების შესახებ, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

* * *

**კითხვა: მყავს 2 წლის ბავშვი, გთხოვთ, განგვიმარტოთ, მძიმე ოჯახური პირობების გამო, მომეცემა თუ არა უხელფასო შვებულება?**

**თეონა პიტავა**

**პასუხი**: კანონის თანახმად დასაქმებულ ქალს, რომელსაც ჰყავს 5 წლამდე ასაკის შვილი,თავისი თხოვნით, უწყვეტად, ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება, ბავშვის მოვლის გამო საერთო ჯამით არა უმეტეს 12 კვირისა, სანამ ბავშვს არ შეუსრულდება 5 წელი.

* * *

**კითხვა: ვმუშაობ შრომითი ხელშეკრულებით, მიმაჩნია, რომ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას დროულად და ხარისხიანად ვასრულებ. დამსაქმებელი მაინც უკმაყოფილოა ჩემი მუშაობით და დადებული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით მემუქრება. იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე და დახმარებისთვის ვის მივმართო?**

**ლევან იმნაძე**

**პასუხი**: თუ თქვენ შრომითი ხელშეკრულების პირობები არ დაგირღვევიათ, დამსაქმებლის გადაწყვეტილება – ყოვლად უმიზეზოდ ვადამდე შეგიწყვიტოთ ხელშეკრულება, არ იქნება მართებული. დაელოდეთ მოვლენის მსვლელობას და თუ ნამდვილად, სათანადო საფუძვლის გარეშე დამსაქმებელი ვადამდე შეგიწყვეტთ შრომით ხელშეკრულებას, მოტივირებული განცხადებით დაუყოვნებლივ მიმართეთ სასამართლოს თქვენი კანონიერი უფლებების დასაცავად.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

◉ დღესასწაული

# წმინდა კეთილმოსურნე მეფე დავით აღმაშენებელი



**8 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ხსენებას წმინდისა კეთილმსახურისა დავით მეოთხისა, მეფისა ყოვლისა საქართველოისა, აღმაშენებლად წოდებულისა.**

...დავით მეფე – ღვთის მოშიში, განსწავლული, ბრძნადმეტყველი, სამართლიანი მსაჯული, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა...

...წმინდა დავით აღმაშენებელმა მეფობისას თავისი გონიერი მზერა მიაპყრო ეკლესიას, მან მოიწვია საეკლესიო კრება, მის ძეგლისწერაში აღნიშნულია, რომ მართლმადიდებლობას ერისა და პიროვნების გადარჩენის საქმეში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

კეთილმსახურმა მეფე დავით აღმაშენებელმა საქართველოს გაერთიანება დაასრულა დიდგორთან ომის მოგების, თბილისის აღების და დმანისის შემოერთების შემდეგ.

მეფე დავითს უფალი მუდამ შეეწეოდა და გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა... თავისი აღმშენებლობითი მოღვაწეობა გელათის მონასტრის მშენებლობით დაასრულა. მან დიდძალი განძი და ომებში მოპოვებული ნადავლი მონასტერს შესწირა. საზღვარგარეთ ბევრ სავანეს თავისი მზრუნველობის ხელი დაატყო. წყალობითა და სიუხვით სავსე მეფე ხშირად ნახულობდა ავადმყოფებს.

მწიგნობარი მეფე დავითი თავისუფალ დროს საღმრთო წერილის და სხვა წიგნების კითხვას ანდომებდა.

დავით მეფე სწორუპოვარი ჰიმნოგრაფიც იყო, მისი „გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა სულიერებით უტოლდება ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ბრძანებს: „...ქართველთა ყველაზე ძლევამოსილმა მეფემ შთამომავლობას დაუტოვა თავისი სულის საოცარი აღსარება, ღმერთს შეწყალება გამოთხოვა“.

**გიული ლიპარტია**

◉ ორწყობილა

**დე, იყოს მცხეთასთან მტკვარი გაყინული,**
**ოღონდ ნუ მომასწრო, ღმერთო, გაყიდული!..**

**რამაზ ილმელი**

◉ დაიჯესტი

## „ახალმოსახლეობა“... ინტერნეტში

**ინტერნეტის მომხმარებლები ამიერიდან ვალდებულნი იქნებიან, საკუთარი თავის შესახებ მხოლოდ უტყუარი ინფორმაცია განათავსონ.**

ამ გზას, კერძოდ, ადგანან გერმანიაში, სადაც მომხმარებლები ვალდებულნი იქნებიან, ინტერნეტ-პასპორტები იქონიონ, რომლებითაც ადვილად შესაძლებელი იქნება მათი ვინაობის დადგენა. ამის გაკეთებას გეგმავენ ასევე რუსეთში. მსგავსი პროგრამის ამოქმედების შესახებ განაცხადეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მას მიყვება შვეიცარია. ამას მარტო უსაფრთხოების მიზნით როდი აკეთებენ, თუმცა კი იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ ღონისძიების გატარების შედეგად კანონდარღვევების რიცხვი ქსელში აუცილებლად შემცირდება. საქმე ის არის, რომ მომავალში ჩვენი ცხოვრება თანდათან ინტერნეტში „გადასახლდება“. მაგალითად, საჭირო აღარ იქნება, ვთქვათ, საარჩევნო უბანზე მისვლა, ხმის მიცემა ქსელში იქნება შესაძლებელი, რა დროსაც ელექტრონული პასპორტიც გამოდგება. ეს, შესაძლოა, თითის ანაბეჭდი, ან სხვა საიდენტიფიკაციო ნიშანი იყოს, რომელიც მომხმარებლის შესახებ უტყუარ ინფორმაციას შეიცავს.

## კაცობრიობის ბიორობოტული მომავალი

**ბიოლოგიური ევოლუცია არცთუ დიდი ხნის წინათ თანდათანობით ინტელექტუალურმა ევოლუციამ შეცვალა, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ ბუნება თავის ტვინითაა „დაინტერესებული“, –**



**აცხადებს რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადმიკოსი, გერონტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ვლადიმერ შაბლინი.**

მეცნიერის აზრით, საიმისოდ, რომ ადამიანმა შეძლოს თავის ტვინის განვითარება, ბუნებამ მას უფრო გვიან დაბერების უნიკალური შესაძლებლობა მისცა. მსოფლიო სამედიცინო ორგანიზაციის მონაცემებით, ამჟამად 45 წლის კაცი ახალგაზრდად ითვლება, ადრე კი მას მოხუცად მიიჩნევდნენ. 60-დან 90 წლამდე კაცობრიობის უფროსი ასაკობრივი ჯგუფის რიცხოვნობა მოსახლეობის საერთო ოდენობასთან შედარებით 4-5-ჯერ უფრო სწრაფად იზრდება. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს სწორედ ის ხალხია, ვინც განვითარებული ინტელექტის, თავის ტვინის, თუნდაც ცხოვრებისეული გამოცდილების მქონეა!

ამ გზით ევოლუცია გამოხატავს თავის „დაინტერესებას“ კაცობრიობის ინტელექტის ხარისხობრივ განვითარებაში. მომავალში კი, ალბათ, ადამიანის თავის ტვინი კომპიუტერს შეერწყმება და ჩვენც... ბიორობოტებად გადავიქცევით.

ამდენად, აკადემიკოს შაბლინის აზრით, ინტელექტუალური ევოლუციის შედეგად შეიქმნება არა მთლად ჰუმანოიდური არსებები, რომლებიც დღესდღეობით ცნობილი ბიოლოგიური ფორმისგან სრულიად განსხვავებულნი იქნებიან. უფრო შორეულ პერსპექტივაში კი, შესაძლოა, სოლარისიც შეიქმნას – მოაზროვნე თავის ტვინი, სწორედ ისეთი, ფასტასტ სტანისლავ ლემს რომ აქვს აღწერილი საქვეყნოდ ცნობილ რომანში.

## ოთხი საუკუნის ნაგროვები სიმდიდრე

**ის ამბავი, რომ ინდოეთის სამხრეთში, ქერალას შტატში, ინდუისტურ ტაძარში ერი პადმანაბჰასვამიში დიდძალი სიმდიდრე ინახებოდა, დიდი ხნის მანძილზე იყო ცნობილი. მაგრამ მისი მეურვეები, უძველესი გვარის ტრანვანკორის წარმომადგენლები, მუდამ XVI საუკუნიდან მოყოლებული დაგროვილი და დაცული ამ სიმდიდრის გამოფენის წინააღმდეგნი იყვნენ.**

და აი, ორმოცდაათწლიანი (!ძ მოლაპარაკების შემდეგ, ინდოეთის ხელისუფლებას წმინდა ძლევნებიანი საიდუმლო შესანახების გახსნის ნება დართეს.



ყველა იურიდიული პროცედურის დაცვისა და შესაბამის საბუთებზე ხელმოწერის შემდეგ, სასამართლოს შვიდი წარმომადგენლისა და დინასტიის თავკაცის, 89 წლის მაჰარაჯას უთრადან ვარმას თანდასწრებით, ტაძრის საიდუმლო სათავსო გახსნეს. ნანახმა სიმდიდრემ სასამართლოს მოხელეები ლამის ჭკუიდან გადაიყვანა – ამდენი ოქროს მონეტებითა და ზოდებით პირსავსე ტომარა, ლალებით, ზურმუხტებით, ალმასებითა და სხვა პატიოსანი თვლებით ავსებული სკივრი, უძვირფასესი ჭურჭელი მათ სიზმრადაც არ ენახათ. საექსპერტო შეფასებით, სადღეისო ფასებით ძვირფასეულობის ღირებულება 20 მილიარდ დოლარს აჭარბებს!

სპეციალისტების აზრით, კაცობრიობის ისტორიაში ეს ერთ-ერთი უდიდესი განძია. მათი შედარება მხოლოდ მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ეგვიპტეს ფარაონის ტუტანხამონის აკლდამაში ნაპოვნ ფასეულობებთან თუ შეიძლება. ინდოეთის ხელისუფლება ძვირფასეულობის ქვეყნის ეროვნულ განძად გამოცხადებას აპირებს.

◉ კადრი



**რედაქცია** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◉ ანეკდოტები

დაქორწინებამდე ქალი და კაცი ერთმანეთს ეუბნებიან – „მხოლოდ შენ მომწონხარ“, ქორწინების შემდეგ კი – „მხოლოდ მე მომწონხარ“.

* * *

არ დავწერ, რომ ქმარი მივლინებაშია და სახლში მარტო ვარ, თორემ შეიძლება მანიაკებიც მომადგნენ ვახუშტის ქუჩის მესამე კორპუსის №5 ბინაში (მესამე სადარბაზოძ...

* * *

– იქნებ მითხრათ, სად შეიძლება ტანკისა და ჯავშანტრანსპორტიორის მართვის მოწმობის აღება?

– რად გინდათ, ჩემო კარგო, უმოწმობოდ იარეთ! ვინ გაგაჩერებთ?



* * *

– თქვენ რუსეთის პატრიოტი ხართ? – ეკითხებიან პეტკას.

– რა თქმა უნდა.

– მაშინ რად დადიხართ უცხოური მანქანით, „ჟიგულით“ ვერ ივლით?

– პატრიოტიზმსა და იდიოტიზმს ერთმანეთში ნუ აურევთ!!!

* * *

გინდათ, იცოდეთ, როგორ იშოვოთ ფული?

აიღეთ სკამი, დადგით იგი დოლარზე და სკამზე დაჯექით.

თქვენი ამოცანაა, აიღოთ ეს დოლარი.

ამისთვის უნდა ადგეთ სკამიდან და აიღოთ ფული.

მორალი: თუ ფული გინდათ, უკანალი უნდა გაანძრიოთ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24